# „ოცნების“ უმრავლესობამ დანაპირები ვერ (თუ არ) შეასრულა და ქვეყანა სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენა!


საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


პარასკევი, 15 ნოემბერი. 2019 წ. №226 (8892) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი




## ბიძინა ივანიშვილი: ვიყავი და ვრჩები 2020 წელს პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის მომხრე, გულწრფელად ვწუხვარ, რომ ეს ვერ მოხერხდა!

**როგორც მმართველი პოლიტიკური ძალის ლიდერი, კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ ვიყავი და ვრჩები 2020 წელსვე პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის მომხრე და გულწრფელად ვწუხვარ, რომ ეს ვერ მოხერხდა,** — ამის შესახებ აღნიშნულია პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული“ საქართველოს თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის განცხადებაში.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, უნაკლო საარჩევნო სისტემები არ არსებობს.

**„საყოველთაოდ ცნობილია, რომ ცივილიზებულ სამყაროში არ წყდება დისკუსიები ამა თუ იმ სისტემის ავკარგიანობაზე. პანაცეა არა საარჩევნო სისტემა, არამედ დემოკრატიაა, ანუ ინსტიტუციონალურად გამართული პოლიტიკური სისტემა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მთავარი — ხელისუფლების წყარო ხალხია და მისი ნება დაუბრკოლებლად უნდა აისახოს არჩევნების შედეგებში. მე, როგორც მმართველი პოლიტიკური ძალის ლიდერი, კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ ვიყავი და ვრჩები 2020 წელსვე პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის მომხრე და გულწრფელად ვწუხვარ, რომ ეს ვერ მოხერხდა, — ჩემს გუნდთან და ხელისუფლებასთან ერთად ვიქნები გარანტი, რომ საქართველოს დემოკრატიული განვითარების პროცესი გახდება შეუქცევადი. 2020 წლის თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები ამის წინაპირობა და თვალსაჩინო მაგალითი იქნება“,** — აღნიშნულია განცხადებაში.

## აშშ-ის საელჩო: გული გვწყდება, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებს „ქართული ოცნების“ დეპუტატების არასაკმარისმა რაოდენობამ დაუჭირა მხარი



— ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის საელჩოს განცხადებაშია აღნიშნული. აშშ-ის საელჩო მოუწოდებს ყველას მშვიდი და ღირსეული თანამშრომლობისკენ.

**„როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამერიკის საელჩომ დადებითად შეაფასა პარტია „ქართული ოცნების“ მიერ განცხადებული განზრახვა 2020 წელს სრულ პროპორციულ საპარლამენტო საარჩევნო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, როგორც მნიშვნელოვანი ნაბიჯი საქართველოს დემოკრატიული წინსვლისა და პოლიტიკურ პარტიებს შორის ნდობის გაძლიერებისთვის. ჩვენ გული გვწყდება, რომ მიუხედავად ოპოზიციური პარტიების მხარდაჭერისა, დღევანდელ კენჭისყრაზე საკონსტიტუციო ცვლილებებს „ქართული ოცნების“ დეპუტატების არასაკმარისმა რაოდენობამ დაუჭირა მხარი. მოვუწოდებთ ყველა მხარეს, მათ შორის მთავრობას, ოპოზიციურ პარტიებსა და სამოქალაქო საზოგადოებას მშვიდი და ღირსეული თანამშრომლობისკენ, რათა ჩვენს საერთო ვალდებულებებთან თანხვედრაში გაგრძელდეს წინსვლა საქართველოს დემოკრატიული განვითარების განსამტკიცებლად.**

**ჩვენ კიდევ ერთხელ, ხაზგასმით აღვნიშნავთ საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმის მიღების მნიშვნელობას, რაც ითვალისწინებს საერთაშორისო და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების რეკომენდაციებს 2017-2018 წლების არჩევნებში გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად, იმისთვის, რომ მომდევნო საპარლამენტო არჩევნებზე შეიქმნას უფრო თანაბარი გარემო საქართველოში პოლიტიკური პლურალიზმის ხელშესაწყობად“,** — აღნიშნულია საქართველოში აშშ-ის საელჩოს განცხადებაში.


პოლიტიკურ ოკეანეში უკომპასო ნავივით დავფარფატებთ!.. 8


## უშუქოდ დარჩენილ 87 სოფელში მზის ელექტროსადგურების მონტაჟი დაიწყო

**რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, მაღალმთიანი დასახლებების უშუქოდ დარჩენილ სოფლებში მზის ელექტროსადგურები მონტაჟდება.**

ელექტროსადგურები მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის, კახეთისა და იმერეთის 87 სოფლის 207 ოჯახში დამონტაჟდება.

**მზის პანელის სიმძლავრე 1 500 ვატით განისაზღვრა, რაც საკმარისია ერთდროულად რამდენიმე მოწყობილობის ჩასართავად.**

**მზის პანელების მოწყობა წლის ბოლომდე დასრულდება. მთავრობას ტექნიკურ დახმარებას აშშ-ის საერთაშორისო განვითარებისა სააგენტოს ენერგეტიკის პროგრამა (USAID/Energy Program) უწევს.**


ექიმისა და პაციენტის ურთიერთობის მორალურ-ეთიკური პრობლემები 4



არ დაარღვიო და არ დაგაჯარიმებენ! დაარღვევ — დაგაჯარიმებენ?! 6



ნიკოლოზ ლანდია — დიდი ერუდიციის მეცნიერი და მამულიშვილი 5






# მამუკა მდინარაძე: არანაირი კატასტროფა არ მომხდარა!

**ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მამუკა მდინარაძის განცხადებით, უმრავლესობიდან წასულ დეპუტატებთან კონსულტაციების გამართვა გასაკვირი არ უნდა იყოს.**

მდინარაძის თქმით, ამ მიმართულებით განსაკუთრებული არაფერი ხდება, თუმცა პარადოქსულია ის, როცა „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები მოქალაქეებს ქუჩაში გასვლისკენ მოუწოდებენ.

**„კონსულტაციები ამ სიტუაციაში გასაკვირი არ უნდა იყოს, მაგრამ არაფერი განსაკუთრებული. ყველაზე განსაკუთრებული და პარადოქსული იცით, რა არის? ყველაზე ძალიან „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები რომ წუხან და ადამიანებს მოუწოდებენ ქუჩაში გამოდითო. უფრო ობიექტურია, თამარ ჩუგოშვილს, მე და სხვებს რომ რაღაც არ მოგვეწონოს ამ ამბავში, ვიდრე — „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს, რომელთა დროსაც შერეული სისტემით ტარდებოდა არჩევნები. რაც თვითონ არ შეუცვლიათ, ახლა აპოკალიფს და კატასტროფას ამაში ხედავენ“,** — განაცხადა მამუკა მდინარაძემ. მამუკა მდინარაძის აზრით, დეპუტატებმა, რომლებმაც უმრავლესობის რიგები დატოვეს, ნაჩქარევი გადაწყვეტილება მიიღეს.

**„სამწუხარო არის ის, რა განცხადებაც გააკეთეს ჩვენმა მეგობრებმა და „ქართული ოცნების“ გუნდის ძალიან ღირსეულმა წევრებმა. ვფიქრობ, ეს გადაწყვეტილება იმწუთიერი, ძალიან ნაჩქარევი, ცხელ გულზე და ემოციებით მიღებული იყო. მე პირადად დაველაპარაკები მათ, რადგან ისინი ჩვენი გუნდის ძალიან ფასეული და ღირსეული წევრები არიან“,** — განაცხადა მამუკა მდინარაძემ. ამასთან, მდინარაძემ ყველას სიმშვიდისკენ მოუწოდა.

**„სახელმწიფო თავის ადგილზე დგას. პარლამენტი დგას თავის ადგილზე. ყველა გამართულად მუშაობს. შიდა დემოკრატიაც არ მოსწონთ, ესეც გასაგებია. არანაირი კატასტროფა არ მომხდარა. ძალიან ვთხოვ ყველას, ნუ ხატავენ ამ კატასტროფებს, პასუხისმგებლობით მოეკიდონ. გეგმა მხოლოდ და მხოლოდ ერთია — სიმშვიდე, სტაბილურობა და მართვა პროცესების, ეს ასეც იქნება. ადამიანებს პროტესტის გამოხატვის უფლება აქვთ. პოლიცია და სახელმწიფო თავის საქმეს გააკეთებს“.**

# ნინო ბურჯანაძე: დეპუტატებმა, რომლებმაც ჩააგდეს კანონპროექტი, მოატყუეს ქართველი ხალხი, შექმნეს პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი კრიზისი



**დღეს საქართველოს უახლეს ისტორიაში მოხდა ისეთი რამ, რისი ანალოგიც თანამედროვე სახელმწიფოების პოლიტიკურ ცხოვრებაში არ ვიცი,** — ამის შესახებ „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ განაცხადა.

**„გამოვხატავთ ჩვენს გაოგნებას იმ არასწორი და საკუთარი თავის დამაზიანებელი პოზიციის გამო, რომელიც დაიკავა ხელისუფლებამ და ბიძინა ივანიშვილმა. ქვეყანაზე და ხალხზე რომ არ ფიქრობენ, ეს დიდი ხანია ვიცით. დეპუტატებმა, რომლებმაც ჩააგდეს კანონპროექტი, მოატყუეს ქართველი ხალხი. შექმნეს უმძიმესი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი კრიზისი. ეს ხელისუფლება დამთავრებით დასრულდება. ეს გამოიწვევს სერიოზულ არასტაბილურობას. გუშინ მოვუწოდებდი ბიძინა ივანიშვილს, რომ კრიზისი არ შეექმნა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ შეისმინა. ვისაც უნდა, დაგვარწმუნოს, რომ ივანიშვილს თურმე უნდოდა გატანა ამ კანონპროექტის და ჩაუგდეს, ან საკუთარი გონებრივი შესაძლებლობები შეაფასოს, ან მასხრად ნუ აგვიგდებს. თითოეულ დეპუტატს პასუხის გაცემა მოუწევს და მათ პოლიტიკურ კარიერას წერტილი უნდა დაესვას. ხალხის ინტერესებით ვაჭრობა, მონობა უნდა დამთავრდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნორმალურ ქვეყანას ვერ ავაშენებთ. ჩვენ ვიბრძოლებთ ყველა კონსტიტუციური მეთოდით, რათა მოვიპოვოთ თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები. ქვეყანა აღარ იყოს არც ერთი რომელიმე პოლიტიკური გუნდის ექსკლუზიური საკუთრება“,** — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

# ირმა ინაშვილი პოლიტიკური პარტიების მხარდამჭერებს მობილიზაციისკენ მოუწოდებს

„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი ირმა ინაშვილი პოლიტიკური პარტიების მხარდამჭერებს მობილიზაციისკენ მოუწოდებს, რათა მათ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის შესახებ პროექტის ჩაგდება გააპროტესტონ.



**„ჩვენი პარტია აცხადებს სრულ მობილიზაციას. მობილიზაციისკენ მოვუწოდებთ ყველა ჩვენს მხარდამჭერს. ასევე, მოვუწოდებ სხვა პარტიების მხარდამჭერებსაც. ახლა აღარ არის გარჩევის დრო, ესა და ის პარტია, ყველამ უნდა გააერთიანოს ძალები“** , — განუცხადა ირმა ინაშვილმა საქართველოს პირველ არხს.

კითხვაზე, გულისხმობს თუ არა სხვებთან ერთად, „ნაციონალურ მოძრაობას“, ინაშვილმა ასე უპასუხა: **„ყველას ვგულისხმობ. მე მიხილავთ ჩვენს მხარდამჭერებთან ერთად, მაგრამ ყველა გაინაწილებს საკუთარ მოედანს. ყველამ უნდა გამოიჩინოს საკუთარი პასუხისმგებლობა, რომ ის სამარცხვინო ფაქტი, რაც დღეს მოხდა, ყველამ გააპროტესტოს საკუთარ მოედანზე“.**

რაც შეეხება უშუალოდ გადაწყვეტილებას, არჩევნების პროპორციული სისტემის პროექტის ჩავარდნასთან დაკავშირებით, ინაშვილი ამბობს, რომ ეს მისთვის მოულოდნელი არ ყოფილა.

**„პარლამენტში ბოლო დღეების განმავლობაში განვითარებული პოლიტიკური სპექტაკლიდან და მელაკუდობიდან გამომდინარე, ცხადია, ველოდით, რომ შესაძლოა, ჩავარდნილიყო პროექტი, მაგრამ მაინც სადღაც ვიტოვებდით იმედს, ეყოფოდა გონიერება უმრავლესობას, რომ ქვეყანა ამ ტიპის კრიზისამდე არ მიეყვანა“** , — აღნიშნა ინაშვილმა.

# კარლო კოპალიანს ელენე ხოშტარია და თინა ბოკუჩავა თავს დაესხნენ!



**„დღეს პარლამენტის წევრებმა სცადეს, რომ გავეშვი პარლამენტიდან. ე.წ. ოპოზიციონერი ქალბატონების ძალადობის მსხვერპლი გავხდი. ქალბატონი ხოშტარია და ქალბატონი ბოკუჩავა დამესხნენ თავს, სხდომათა დარბაზში სადაც მე ვიჯექი, ჩემს ადგილას. ამოიღეს ჩემი ბარათი. ერთმა, ხოშტარიამ ამოიღო ბარათი, ბოკუჩავას მომზადებული ჰქონდა მაკრატელი და იმან გაჭრა. მეორე ნახევარი აქვს ხოშტარიას, წაიღო სამახსოვროდ, ჩემი თვალები მოსწონს ეტყობა. მაგას აქვს ჯიბეში. მე ამას თავდასხმად ვაფასებ. გამოცდილმა იურისტებმა შეაფასონ, არის თუ არა ეს თავდასხმა დეპუტატზე“,** — აღნიშნა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა კოპალიანმა.



# რომელმა დეპუტატებმა არ დაუჭირეს მხარი პროპორციულ სისტემაზე გადასვლას და ვინ შეიკავა თავი

პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მომზადებულმა საკონსტიტუციო ცვლილებებმა პარლამენტში პირველი მოსმენით კენჭისყრაზე ხმების საკმარისი რაოდენობა ვერ მიიღო.

**საკითხზე თავისუფალი კენჭისყრა ჩატარდა. საკონსტიტუციო ცვლილების მისაღებად 113 დეპუტატის მხარდაჭერა იყო საჭირო. მმართველი გუნდის მიერ მომზადებულ კონსტიტუციურ პროექტს კი, 101-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, სამი წინააღმდეგი იყო.**

სხდომაზე შესვენება გამოცხადდა. **დეპუტატებმა საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის კენჭისყრამდე რეგისტრაცია სამჯერ გაიარეს, პირველი რეგისტრაციის დროს 138 დეპუტატი იყო დარბაზში, მეორე რეგისტრაციაზე კი 139, ხოლო საბოლოოდ რეგისტრაცია 141-მა დეპუტატმა გაიარა.**

პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას მხარი არ დაუჭირეს:

**1. ენზელ მკოიანი; 2. კახაბერ ოქრიაშვილი; 3. დიმიტრი ხუნდაძე.**

კენჭისყრაში მონაწილეობისგან თავი შეიკავეს:

**1. ირაკლი აბუსერიძე; 2. ბერაია ირაკლი; 3. ანზორ ბოლქვაძე; 4. გოგა გულორდავა; 5. გოჩა ენუქიძე; 6. მურმან ვახტანგაძე; 7. ცოტნე ზურაბიანი; 8. ედიშერ თოლორაი; 9. კობა კობალაძე; 10. კარლო კოპალიანი; 11. გიორგი კოპაძე; 12. კობა ლურსმანაშვილი; 13. იოსებ მაკრახიძე; 14. სამველ მანუკიანი; 15 გურამ მაჭარაშვილი; 16. სულხან მახათაძე; 17. ირაკლი მეზურნიშვილი; 18. გოგი მეშველიანი; 19. სავალან მირზოევი; 20. რომან მუჩიაშვილი; 21. დიმიტრი მხეიძე; 22. პაატა მხეიძე; 23. თამაზ ნავერიანი; 24. რუსლან პოღოსიანი; 25. დავით სონღულაშვილი; 26. მერაბ ქვარაია; 27. მიხეილ ყაველაშვილი; 28. ირაკლი შიოლაშვილი; 29. გოდერძი ჩანქსელიანი; 30. ოთარ ჩრდილელი; 31. ნინო წილოსანი; 32. შოთა ხაბარელი; 33. ლერი ხაბელოვი; 34. ირაკლი ხახუბია; 35. თენგიზ ხუბულური; 36. ვიქტორ ჯაფარიძე.**

უმრავლესობის მიერ მომზადებული ცვლილებები 2020 საპარლამენტო არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარებას ითვალისწინებს. პროექტით, პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად, პარტიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა 150-ზე გამრავლდება და არჩევნებში მონაწილე ყველა პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების ჯამზე გაიყოფა.

# უმრავლესობის დეპუტატები საპარლამენტო თანამდებობებს ტოვებენ

**პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი თამარ ჩუგოშვილი, ასევე უმრავლესობის დეპუტატები — თამარ ხულორდავა, სოფო ქაცარავა, გიორგი მოსიძე, ირინა ფრუიძე, დიმიტრი ცქიტიშვილი და ზაზა ხუციშვილი საპარლამენტო თანამდებობებს ტოვებენ.**

ამის შესახებ თამარ ჩუგოშვილმა ჟურნალისტებთან განაცხადა.

**„სამწუხაროდ, შედეგი დადგა. არ აქვს მნიშვნელობა, რამ გამოიწვია საკონსტიტუციო ცვლილებების ჩავარდნა. ჩვენ არ გვრჩება სხვა გზა, გარდა იმისა, რომ დავტოვოთ, როგორც საპარლამენტო თანამდებობები, ასევე საპარლამენტო უმრავლესობა. საკონსტიტუციო ცვლილებების ჩავარდნის საკითხი არის მძიმე საკითხი, რომელზეც მე და ჩემი კოლეგები პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ვერ ავიღებთ. დღეს იყო უმრავლესობის მძიმე სხდომა, ნებისმიერი შედეგი, როგორიც არ უნდა დამდგარიყო, დასრულდებოდა პარტიის დანაკარგით. შედეგი დადგა ისეთი, როგორიც დადგა. ჩვენ მივიღეთ ის გადაწყვეტილება, რომელიც პარტიისთვის იყო ცნობილი“,** — განაცხადა თამარ ჩუგოშვილმა.

# საქართველო, აშშ-ის დიდი მეგობარი, მოთმინებით უმკლავდება რუსეთის პროვოკაციებს



**„ახლა დავბრუნდი საქართველოდან, ვნახე, ოკუპაციის პირობებში მყოფი აშშ-ის დიდი მეგობარი, რომელიც მოთმინებით განაგრძობს რუსეთის პროვოკაციებთან გამკლავებას“,** — ამის შესახებ კონგრესმენმა ადამ კინზინგერმა აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ევროპის ქვეკომიტეტზე მოსმენის დროს განაცხადა. ინფორმაციას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

**„იმისათვის, რათა ვისაუბროთ ნატოს ალიანსში შემავალი ქვეყნების მმართველობის გაუმჯობესებაზე, ჩვენ უნდა შევასრულოთ ამ ქვეყნებისათვის გაცემული დანაპირები, რომ მათ მიერ რეფორმების განხორციელების შემთხვევაში ნატოში გავაწევრიანებთ. ახლახან დავბრუნდი საქართველოდან, სადაც ერთი კვირა ვიყავი. გასაოცარი იყო, როცა ვნახე ოკუპაციის პირობებში მყოფი მეგობარი — აშშ-ის დიდი მეგობარი, რომელიც მოთმინებით განაგრძობს რუსეთის პროვოკაციებთან გამკლავებას, მათ შორის მიმდინარე ბორდერიზაციასთან და უკანონოდ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე გატაცებებთან გამკლავებას. საქართველო განაგრძობს, განამტკიცოს სასამართლო სისტემა, მედია, მმართველობა, რათა მიაღწიოს იმ შედეგებს, რომლის შედეგადაც აღსრულდება ნატოს მიერ საქართველოსადმი გაცემული დანაპირები. თუმცა, ნატოში არის რამდენიმე ქვეყანა, რომელიც შიშობს არ გააღიზიანოს რუსეთი. სასაცილოდაც კი არ მყოფნის იმის გააზრება, თითქოს ნატოს ეშინია იმ ქვეყნის, რომლის ეკონომიკაც ალიანსის საერთო ეკონომიკის 1/30-ედს წარმოადგენს“,** — განაცხადა საკომიტეტო მოსმენაზე გამოსვლისას ადამ კინზინგერმა.

საქართველოს მხარდამჭერი განცხადება კომიტეტზე აშშ-ის კონგრესში საქართველოს მეგობართა ჯგუფის წევრმა, კონგრესმენმა ჯო ვილსონმაც გააკეთა.

**„ვიზიარებ კონგრესმენი კინზინგერის ძალიან დადებით პათოსს — ჩვენ უნდა გვიხაროდეს. ეს მოხდა 30 წლის წინ, როცა ბერლინის კედელი დაინგრა. მე იმ ასაკის გახლავართ, რომ ეს მახსოვდეს — კედელი თითქოს მუდმივად უნდა ყოფილიყო. ფაქტიურად, შეგუებული უნდა ვყოფილიყავით ამას. რა გასაოცარი ამბავია, რომ კედელი დაანგრიეს. მე მქონდა შესაძლებლობა, რომ ეს განმეცადა, როგორც თქვენ აღნიშნეთ — საქართველო რესპუბლიკაა. ვინ წარმოიდგენდა ამას — მე გახლდით გორში, სტალინის დაბადების ადგილას. დრო ასე სასიკეთოდ შეიცვალა. დღეს საქართველო აშშ-ის დიდი მეგობარია — მათ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, მსოფლიოში ყველაზე მეტი საბრძოლო დანაყოფი ჰყავს განთავსებული ავღანეთში, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანას. ნატოში გაწევრიანებამდეც კი, საქართველო ასეთი ჩინებული მოკავშირეა“,** — აღნიშნა აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის შუა აღმოსავლეთის, ჩრდილოეთ აფრიკისა და საერთაშორისო ტერორიზმის ქვეკომიტეტის თანათავმჯდომარემ, აშშ-ის კონგრესში საქართველოს მეგობართა ჯგუფის წევრმა, კონგრესმენმა ჯო ვილსონმა (რესპუბლიკელი — სამხრეთ კაროლინის შტატი).

მოსმენაზე მიწვეულ სტუმრებს შორის იყო პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტი და მსოფლიო მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი, „ლეხ ვალენსას ინსტიტუტის“ დამფუძნებელი, ლეხ ვალენსა.

# კახი კალაძე: პროპორციული სისტემის განხილვა ფიზიკურ დაპირისპირებამდეც მივიდა

**პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ გენერალური მდივანი კახა კალაძე აცხადებს, რომ პროპორციული სისტემის განხილვა ფიზიკურ დაპირისპირებამდეც მივიდა.** კახა კალაძე თავს იკავებს გვარების დასახელებისგან, ვინც ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ.



**„პირადაპირ ვიტყვი, მეც არ მოველოდი ამ გადაწყვეტილებას, რადგან საკმაოდ ოპტიმისტურად ვიყავი განწყობილი, რომ მოხდებოდა ახალ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა. თუმცა მოხდა ის, რაც მოხდა. ჩვენ ორი დღის განმავლობაში ვსაუბრობდით, რომ დეპუტატთა გარკვეული ჯგუფი ეწინააღმდეგებოდა ცვლილებების განხორციელებას. საკმაოდ დაძაბული ვითარება იყო. ფიზიკურ დაპირისპირებამდეც კი მივიდა. ახლა არ დავასახელებ იმ ადამიანების სახელსა და გვარს, რომლებიც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, თუმცა ყველაფერი გახდება ცნობილი საზოგადოებისთვის, პარტიაშიც და პარლამენტშიც. ჩვენი პარტია არის დემოკრატიული პარტია, პარტიაში მიმდინარე პროცესები ჯანსაღია. რა თქმა უნდა, ყველა ვერ იქნება ერთ მოსაზრებაზე. ჩემთვისაც ბევრი რამ არ არის მისაღები. მეც არ ველოდებოდი, თუ ეს ცვლილება არ განხორციელდებოდა, მაგრამ მოხდა ის, რაც მოხდა. მთავარი არის გუნდის შენარჩუნება ისევ და ისევ ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, რომ ქვეყანაში იყოს სიმშვიდე,სტაბილურობა და ბოროტ ძალებს არ მიეცეთ შესაძლებლობა, ქვეყანაში დაპირისპირება გამოიწვიონ“,** — განაცხადა კალაძემ.

ამასთან, კალაძე ამბობს, რომ უმრავლესობა და პარტია არ დაიშლება.

**„შეიძლება, გარკვეულ პოლიტიკურ პარტიებს, ოპონენტებს მოლოდინი და სურვილი ჰქონდეთ, თუმცა არანაირი უმრავლესობა და პარტია არ დაიშლება“,** — აღნიშნა კახა კალაძემ.

კალაძე რამდენიმე დეპუტატის მიერ უმრავლესობის რიგების დატოვების შესახებ კი ფიქრობს, რომ მათ გადაწყვეტილება ცხელ გულზე მიიღეს.

**„მოვისმინეთ განცხადებები ჩვენი დეპუტატების მხრიდან გასვლასთან დაკავშირებით. ვფიქრობ, ეს იყო ცხელ გულზე გაკეთებული განცხადებები. გამიჭირდება შეფასება, ისინი დაბრუნდებიან თუ არა. რა თქმა უნდა, იქნება კომუნიკაცია, შეხვედრები და შემდეგ მიიღება კიდევ უფრო დაზუსტებული გადაწყვეტილებები“** , — განაცხადა კახა კალაძემ.

# „ფეიკნიუსი“ ზუსტად ასე მზადდება



**„ვიდეოკადრებში დაფიქსირებული ჟესტი აქციის მონაწილეების მისამართით არ იყო განკუთვნილი“,** — ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ პარტია „ქართული ოცნების“ ოფისთან გადაღებულ ვიდეოკადრებზე კომენტირებისას განაცხადა.

მისი განმარტებით, აღნიშნული ვიდეოკადრები თავადაც იხილა და ზოგიერთი მედიასაშუალების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას „ფეიკნიუსი“ უწოდა.

**„ეს ვიდეო მეც ვნახე და არ ვიცი, რა დავარქვა?! დავარქმევდი სამარცხვინობის უმაღლეს მწვერვალს და წერტილს. ეს არის ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ მზადდება „ფეიკნიუსი“. ვიდრე გაავრცელებდით, თქვენ ელემენტარულად შეგეძლოთ, დაგესვათ შეკითხვა, თუ ვის მიმართ იყო დაფიქსირებული ჟესტი, მაგრამ „ფეიკნიუსი“ ზუსტად ასე მზადდება. გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს, აქციის მონაწილეებს ვაჩვენე შუათითი, არასწორია. ზოგადად, თავშეკავებით არასდროს გამოვირჩევი და როდესაც მაქვს სათქმელი, ყოველთვის ვამბობ. არ ვერიდები, რაც არ უნდა მძიმე იყოს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, თითი აქციის მონაწილეების მისამართით ნამდვილად არ ყოფილა ნაჩვენები. ასე რომ ყოფილიყო, ვიტყოდი, ნამდვილად არ მომერიდებოდა,** — განაცხადა კახა კალაძემ.

რაც შეეხება კითხვას, თუ ვისი მისამართით გამოიყენა აღნიშნული ჟესტი, კახა კალაძის თქმით, ის ჩვეულებრივი ადამიანია და ადგილზე მყოფი საკუთარი დაცვის ორი თანამშრომლის მიმართ წყენა ბუნებრივად გამოხატა.

**მედიასაშუალებების მიერ გავრცელებულ კადრებში კარგად ჩანს, როგორ შეანელებს ავტომობილით სვლას თბილისის მერი საკუთარ დაცვის თანამშრომლებთან და მათ თითით ანიშნებს.**

# პრემიერმა ბიზნეს-ომბუდსმენად მიხეილ დაუშვილი წარადგინა



**როგორც მთავრობის გუშინდელ სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა, გიორგი გახარიამ განაცხადა, ბიზნესომბუდსმენად დაუშვილი დღეიდან დაინიშნება.**

პრემიერმა ბიზნესომბუდსმენის ამოცანებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ დარწმუნებულია, მიხეილ დაუშვილი მათ თავს ღირსეულად გაართმევს.

**„გუნდის კიდევ ერთი ახალი წევრი და ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საამაყო გახლავთ მიხეილ დაუშვილი, რომელიც დღეიდან ბიზნესომბუდსმენად დაინიშნება. მოგეხსენებათ, ჩვენ ყოველთვის ვამბობდით და კიდევ ერთხელ ვამბობთ, ძლიერი ქართული ბიზნესი არის ჩვენი ყველაზე დიდი ეკონომიკური გამოწვევების ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც უნდა დაგვეხმაროს ყველას ერთად, შევქმნათ ახალი დამატებითი სამუშაო ადგილები და ამით დავამარცხოთ სოციალური სიდუხჭირე, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არსებობს ქვეყანაში. ამიტომ ყველას უნდა გვესმოდეს, რომ მხარდაჭერა ბიზნესის, იქ, სადაც ამის საშუალებას კანონი გვაძლევს, იქნება მიხეილ დაუშვილის ძირითადი ამოცანა და დარწმუნებული ვარ, ღირსეულად გაართმევს თავს ამოცანას“,** — განაცხადა პრემიერმა.

# ადამიანის უფლებათა საკითხებში პრემიერის მრჩევლად ლელა აქიაშვილი დაინიშნა



ახალი მრჩეველი გიორგი გახარიამ მთავრობის სხდომაზე წარადგინა.

**„ჩვენ ვნიშნავთ პრემიერ-მინისტრის მრჩეველს ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით და ეს გახლავთ ქალბატონი ლელა აქიაშვილი, რომელიც ერთმნიშვნელოვნად გააქტიურებს ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით ადმინისტრაციის მუშაობას. ასევე, გააქტიურდება ადამიანის უფლებათა საბჭოს მუშაობა, რაც ბოლო წლების განმავლობაში, სამწუხაროდ, საკმაოდ პასიურ მდგომარეობაში იყო. ასევე, გააქტიურდება ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოც. ჩვენ ყველას ძალიან კარგად გვესმის, რომ ჩვენი დემოკრატიული განვითარების პროცესის ძირითადი მიზანი ადამიანი და მისი უფლებების დაცვა გახლავთ. ამიტომ, ქალბატონი ლელა აქიაშვილი, იმ გამოცდილებით, რომელიც მას გააჩნია, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობის, ასევე ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით აქტივობების მიმართულებით, დარწმუნებული ვარ, რომ იქნება ჩვენი გუნდის ღირსეული წევრი“,** — განაცხადა გიორგი გახარიამ.

**ბოლო წლეებში ქვეყანაში ჯანდაცვის დარგში გატარებული რეფორმები უდავოდ წარმატებული იყო. ქვეყანაში სამედიცინო დაწესებულებების პრივატიზაციამ სამედიცინო საქმიანობა მომგებიანი გახადა, მოიზიდა კერძო ინვესტიციები, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სამედიცინო ინფრასტრუქტურის განვითარებას: აშენდა ახალი მრავალპროფილიანი საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, დიაგნოსტიკური ცენტრები, მოხდა ძველი კლინიკების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია და დაწესებულებები აღიჭურვა ყველაზე თანამედროვე დიაგნოსტიკური აპარატურით, ლაბორატორიული ტექნიკით, კლინიკები დაკომპლექტდა კვალიფიციური სამედიცინო კადრებით და სხვ. განვითარება დაიწყო კერძო სამედიცინო ბიზნესმა, მაგრამ ეს ყველაფერი საკმარისი არ აღმოჩნდა, რის გამოც სახელმწიფო ამ პროცესში უფრო ქმედითად ჩაერთო, რამეთუ ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობა სახელმწიფოს მთავარი საზრუნავია.**




# ექიმისა და ავადმყოფის ურთიერთობის მორალურ-ეთიკური პრობლემები

## საყოველთაო ჯანდაცვის ზოგიერთი პარადიგმა



2013 წელს საქართველოში ჯანმრთელობის საყოველთაო დაზღვევის სისტემის შემოღება, ძირითადად, მთავრობის პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო. ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, ბოლო 7 წლის განმავლობაში, საყოველთაო ჯანდაცვის მხრიდან მოხდა 3 მილიარდნახევარზე მეტი ლარით პაციენტების ჯანმრთელობის დაფინანსება. გამოყოფილი ბიუჯეტი სამჯერ გაიზარდა, სხვა სფეროებთან შედარებით და ყოველწლიურად იზრდება. დღეს ქვეყნის მასშტაბით მოქალაქეების 90%-ს ხელი მიუწვდება პირველად ჯანდაცვის მომსახურებაზე, რამაც მოსახლეობის უმეტესი ნაწილი პოზიტიურად განაწყო ჯანდაცვის მიმართ. როგორც ჯანდაცვის სამინისტროში აღნიშნავენ, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში მნიშვნელოვან რესურსებს ხარჯავს, პაციენტების ჯიბიდან გადახდილი თანხა 20-22 პროცენტს აღემატება, ხოლო კერძო სექტორის სარგებელი ამ შემთხვევაში 35%-ზე მეტია (ასეთ მოგებას ალბათ ნავთობის ბიზნესიც არ იძლევა). ჯანდაცვის მინისტრის აზრით **„ეს მონაცემები ნათლად წარმოაჩენს დაფინანსების მექანიზმების სისტემური ცვლილებების საჭიროებას. კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესყიდვებს ტარიფიკაციის პრინციპით, რაც ითვალისწინებს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში არსებული ტარიფების გათანაბრებას ყველა კლინიკისთვის. ეს სისტემა გახდება ქვეყნის მასშტაბით ერთიანი სტანდარტი“**.

მომავალი გვიჩვენებს, როგორ სახეს მიიღებს ჯანდაცვაში ასეთი დაფინასების პრინციპი. ჩვენს მიზანს ამ წერილში არ წარმოადგენს რაიმე სახის ანალიზი ჯანდაცვის დაფინანსებასთან დაკავშირებით, რამდენადაც ეს ჩვენი კომპენტენციის ფარგლებს სცილდება.

ჩვენ გვინდა რეფორმების ავტორთა ყურადღება შევაჩეროთ ერთ მეტად მტკივნეულ საკითხზე, რომელიც უფრო ძველი თაობის ექიმების ყოველმხრივ წუხილსა და უკმაყოფილებას იწვევს: ეს შეეხება ექიმსა (სამედიცინო პერსონალი) და ავადმყოფს შორის ურთიერთობის მორალურ-ეთიკურ საკითხს, რაც განაპირობებს ექიმის პატიოსან, კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას ავადმყოფის მიმართ.

ცნობილია, საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამეწარმეო საქმიანობის ძირითადი პრინციპი — მეტი შემოსავლისა და მოგების მიღება. ბოლო ხანს დამკვიდრებული აზრის — **„ბაზარი ყველაფერს დაარეგულირებს“** ხელაღებით გავრცელება სამედიცინო საქმიანობაზე, განსაკუთრებით, როდესაც ხდება მისი პროგრამული დაფინასება სახელწიფო ბიუჯეტიდან, ბევრ უხერხულობასა და გაუგებრობას განაპირობებს, რამდენადაც ეს საქმიანობა მეტად სპეციფიკურია, — მის ობიექტს ავადმყოფი წარმოადგენს. სამაგალითოდ ისიც კმარა, რომ ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, **„2009 წელს ქირურგიული ოპერაცია გაუკეთებია 34.398 მოქალაქეს, ხოლო 2018 წელს მაჩვენებელი თითქმის შვიდჯერაა გაზრდილი და 221.849 მოქალაქეს მიუმართავს ქირურგისთვის“**. ალბათ ამ მოვლენას თავისი ახსნა აქვს, მაგრამ რა იქნება მომავალში — **„ბაზარი ამას როგორ დაარეგულირებს“** — ალბათ არავინ იცის! ეს გასაკვირიც არ უნდა იყოს, ვინაიდან ყველა პრივატული სამედიცინო დაწესებულება და მისი კოლექტივი, კონკურენციის პირობებში, დაინტერესებულია, რაც შეიძლება მეტი ავადმყოფი მოიზიდოს, მეტი შემოსავალი და მოგება მიიღოს. როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ამის სხვადასხვა გზა არსებობს.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში გადაუდებელი სტაციონარული დახმარების სეგმენტს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და, ითვალისწინებს გადაუდებელ (ურგენტულ) თერაპიულ და ქირურგიულ სტაციონარულ მომსახურებას, რომელიც ხორციელდება (გარდა გეგმიური ქირურგიული დახმარებისა), მხოლოდ ისეთ კლინიკებში, სადაც „ემერჯენსი“ (გადაუდებელი დახმარების), განყოფილებები არის. ამავე დროს, არსებობს ავადმყოფთა დიდი ჯგუფი ქრონიკული დაავადებებით, რომელიც, ამბულატორიული მკურნალობის გარდა, ხშირად საჭიროებს სტაციონარულ მკურნალობას (ფილტვების ქრონიკული დაავადებების გამწვავება, გულის ქრონიკული ნაკლოვანება, ქრონიკული კორონარული დაავადებები და სხვ.), რის გამოც ასეთი ჯგუფის ავადმყოფები იძულებულნი არიან, მიმართონ “ემერჯენსი“ განყოფილებებს, სადაც მათ შეიძლება გაუფორმდეს მწვავე დიაგნოზი და ურგენტული ავადმყოფის სტატუსი მიიღონ, რომელზედაც, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, შესაბამისი დაფინასებაა გათვალისწინებული. ავადმყოფთა ჰოსპიტალიზაციის ასეთ პრაქტიკას მოჰყვა უარყოფითი შედეგი, — ქვეყნის მასშტაბით დიდი რაოდენობით გაიხსნა „ემერჯენსი“ განყოფილებები, და ამის შედეგად „მწვავე“ — ურგენტული დიაგნოზების კატასტროფული ზრდა, რის გამოც მნიშვნელოვნად შეიცვალა ამ ტიპის განყოფილებებისთვის დამახასიათებელი დიაგნოზების სტრუქტურული შემადგენლობა. სადემონსტრაციოდ მოვიყვანთ ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოების 2015 წლის გაიდლაინის მონაცემებს, სადაც „ემერჯენსი“ დეპარტამენტებში გულმკერდის არეში ტკივილით (რომელიც ყველაზე ხშირი მიზეზია ავადმყოფის ჰოსპიტალიზაციის) შემოსულ მწვავე კორონარული სინდრომით პაციენტთა შორის დაავადების მოსალოდნელი პრევალენტობა შეიძლება იყოს: **კარდიული (გულით) ავადმყოფები, მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი, არასტაბილური სტენოკარდია და სხვა კარდიული დაავადებები** 40-50%, ხოლო **არაკარდიული შემთხვევები** 50 %-ია!!!

უფრო სერიოზული პრობლემაა, და აქ დასამალი არაფერი არ არის, როდესაც დამატებითი ანაზღაურების მიღების მიზნით (ანდა, შეიძლება ყოველგვარი ანგარების გარეშეც) ადგილი აქვს პაციენტის დიაგნოზის ხელოვნურად დამძიმებას, ან მის მოდიფიკაციას (შეცვლას), რაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა და ბევრ სპეციალობებს მოიცავს, რასაც, აგრეთვე, ადგილი აქვს ბევრ განვითარებულ ქვეყნებშიც და იქაც მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. აქვე უნდა ითქვას, რომ ავადმყოფის დიაგნოზით მანიპულირება ყოვლად დაუშვებელია, რამდენადაც სწორი დიაგნოზი საფუძველია ავადმყოფის სწორი მკურნალობისა! ამავე დროს, ასეთი ქმედება უარყოფითად მოქმედებს ექიმის პროფესიულ ხარისხზე და მის მორალურ თვისებებზე და ექიმის ჰიპოკრატეს ფიცს არაქმედითად აქცევს.

წარსულში სოციალისტურ ჯანდაცვას ბევრი უარყოფითი ჰქონდა, მაგრამ, ალბათ დამეთანხმებიან ჩემი კოლეგები, ექიმს აზრადაც არ მოუვიდოდა ავადმყოფის დიაგნოზით მანიპულირება და ამით რაიმე სარგებელის მიღება, თუ ასეთი რამ მოხდებოდა ეს განიხილებოდა როგორც მძიმე დანაშაული, იყო მკაცრად დასჯადი და არასდროს ეს სასჯელი ფინანსურ სასჯელს არ ითვალისწინებდა. ჩვენს დროში ამ მანკიერი მოვლენის ადმინისტრირება სხვადასხვა კომისიებით, აუდიტებით, ფინანსური სანქციებით ხდება, რაც, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ჯერ-ჯერობით ნაკლებად ეფექტურია!

იდეალური ჯანდაცვის სისტემა არც ერთ ქვეყანაში არ არის. იგი ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული: ქვეყნის ეკონომიკა (აშშ ჯანდაცვაზე ორჯერ მეტს ხარჯავს, ვიდრე შეიარაღებაზე), პოლიტიკური წყობა, ეპიდემიოლოგიური მონაცემები და სხვ. განვითარებულ ქვეყნებში პრიორიტეტი ეძლევა კერძო სადაზღვეო კომპანიებს, სადაც ეს სისტემა უფრო დახვეწილია.

ბოლო დროს ყურადღებას იქცევს სამედიცინო მომსახურების ისეთი სისტემა, როდესაც დიდ ქალაქებში ყველაზე მოთხოვნადი და დიდ დანახარჯებთან დაკავშირებული სამედიცინო სერვისები მოსახლეობას მიეწოდება ქალაქის გარკვეულ რაიონში არსებული ეპიდემიოლოგიური მონაცემებისა და მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით. ქ. ანტვერპენში ერთი ურგენტული კარდიოლოგიური კლინიკა, სადაც ძირითადად ტარდება ინვაზიური ჩარევები: კორონაროგრაფია, სტენტირება და სხვ., — აღჭურვილია ორი კატლაბორატორიით, ხოლო ექიმთა სამი ბრიგადა 24 საათის განმავლობაში მუშაობს სამ წყებად (8-8 საათი) და ემსახურება ქალაქის ერთ რაიონს, 300 ათასი მოსახლეობით. ასეთი სახის მუშაობის რეჟიმს ბევრი დადებითი მხარე გააჩნია: ავადმყოფთა მომსახურების ხარისხი უკეთესია, ხელს უწყობს ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლებას, სადაზღვევო სამსახურებს უადვილებს მონიტორინგს და, რაც მთავარია, სამედიცინო დაწესებულების მოტივაცია, მოიზიდოს ან ხელოვნურად გაზარდოს ამ ტიპის ავადმყოფთა რაოდენობა, აქტუალობას კარგავს (ამის საჭიროება არ არის).

**მომავალში, ჯანდაცვის როგორ რეფორმაზეც არ უნდა შევჩერდეთ, ყველა შემთხვევაში, პირველ რიგში, უპირატესობა უნდა მიეცეს ავადმყოფის მომსახურების ისეთ სისტემას, როდესაც სამედიცინო დაწესებულებაში ექიმის მიერ ავადმყოფის დიაგნოზის ფორმირების დროს მასზე გავლენას (bias) არ უნდა ახდენდეს უკვე კარგად ცნობილი გარეშე ფაქტორები. სხვა ყველა შემთხვევაში ჯანდაცვის ოპტიმალური დაფინანსების პრობლემა მოუგვარებელ პრობლემად დარჩება და მარტო ექიმის და სამედიცინო პერსონალის დადანაშაულება ამ პროცესში სამართლიანი არ იქნება.**

**ბონდო ქობულია,**
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი



## ალმოაჩინეს უცნობი ვირუსი

**მკვლევრების საერთაშორისო ჯგუფმა ადამიანის ფიზიოლოგიური სითხის ნიმუშებში აქამდე უცნობი ვირუსი აღმოაჩინა.**

ვირუსის ახალი ტიპი მიეკუთვნება ბაქტერიოფაგებს. სპეციალისტებმა 111 ადამიანის შარდის ნიმუში შეისწავლეს. მათ 43 ბაქტერიოფაგი გამოავლინეს. ამასთან ახალი სახეობაც, რომელიც Tunavirinae-ს მიეკუთვნება. ეს ვირუსი აზიანებს ნაწლავების ჩხირს, კოლიბაქტერია Escherichia coli-ს, რომელიც ანტიბიოტიკების გამძლე ინფექციების ერთ-ერთი გამომწვევი აგენტია.



ცნობილია, რომ ბაქტერიოფაგებს აქვთ უნარი, ბაქტერიებს მედიკამენტების მიმართ მდგრადობის გენები გადასცენ. მეცნიერები თვლიან, რომ კრიტიკულად მნიშვნელოვანია ადამიანებში ფაგების გავრცელების და მრავალფეროვნების, აგრეთვე ვირუსების ურთიერთქმედების შესწავლა. ფაგებს ასევე შეუძლიათ შეუტიონ ბაქტერიების გარკვეულ ტიპებს, შეაფერხონ მიკროფლორის ბალანსი და ხელი შეუწყონ სხვადასხვა დაავადებების განვითარებას.



# აკადემიკოს ნიკოლოზ ლანდიას არდავიწყება

# დიდი ერუდიციის მეცნიერი და მამულიშვილი

**ასი წელი შესრულდა თვალსაჩინო მეცნიერის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ნიკოლოზ ლანდიას დაბადებიდან. მნიშვნელოვანია აკადემიკოს ნიკოლოზ ლანდიას ღვაწლი ქართული ქიმიური მეცნიერების განვითარებაში. იგი ფუძემდებელია საქართველოში ქიმიური თერმოდინამიკის სფეროში კვლევების დამკვიდრებისა და ამ დარგის თანამედროვე საერთაშორისო დონემდე განვითარებისა.**

ნიკოლოზ ლანდიამ 1940 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიურ-ტექნოლოგიური ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო კვების მრეწველობის საპროექტო ინსტიტუტში მთავარ ტექნოლოგ-ინჟინრად. ამ პერიოდში მისი მონაწილეობით დაპროექტდა მრავალი მნიშვნელოვანი საწარმო და შემუშავდა სათანადო ტექნოლოგიური პროცესები.

1945 წელს, ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რომელშიც განხილული იყო საქართველოს ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი პრობლემა, ქართული ბუნებრივი წიაღისეულის გამოყენებით სოდის წარმოების ახალი ორიგინალური მეთოდი, რაც საფუძვლად დაედო შესაბამის საწარმოო სამუშაოებს.

ამავე წელს ნ. ლანდიამ მუშაობა დაიწყო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 40 წლის მანძილზე იგი ინსტიტუტში ეწეოდა წარმატებულ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას, ასევე ასრულებდა მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ საქმიანობას. სხვადასხვა დროს იგი იყო ფაკულტეტის დეკანი, სამეცნიერო-კვლევითი სექტორის გამგე, ინსტიტუტის პრორექტორი სასწავლო ნაწილში, კათედრის გამგე, პროფესორი. სიცოცხლის ბოლომდე კითხულობდა ლექციებს და დიდად შეუწყო ხელი საქართველოში კვალიფიციური საინჟინრო კადრების აღზრდას.

ნ. ლანდიას სამეცნიერო მოღვაწეობაში თავიდანვე გამოიკვეთა განსაკუთრებული ინტერესის სფერო — მისი პირველივე ქიმიურ-ტექნოლოგიური ხასიათის კვლევები და პუბლიკაციები ეყრდნობოდა მყარ მეცნიერულ საფუძვლებს ფიზიკურ ქიმიასა და ქიმიურ თერმოდინამიკაში.

1958 წელს ნ. ლანდიამ წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი იყო ქიმიური თერმოდინამიკის ერთ-ერთი საკვანძო საკითხი, შემოთავაზებული იყო მაღალტემპერატურული თბოტევადობის დადგენის ახალი, ორიგინალური ნახევრადემპირიული მეთოდი, რომელიც ითვალისწინებდა იმ დროის უახლეს სამეცნიერო მიღწევებს მყარი ტანის ფიზიკასა და თერმოდინამიკაში. ეს მეთოდი გამოირჩევა უნივერსალობით, მაღალი სიზუსტით, მოხერხებული და დახვეწილი გათვლითი პროცედურით მიესადაგება არაორგანული ნაერთების თითქმის მთელ სპექტრს.

დისერტაციაში შემოთავაზებული თბოტევადობის გათვლის ნ. ლანდიას მეთოდი საშუალებას იძლევა, ძვირადღირებული და ხანგრძლივი ექსპერიმენტული კვლევების მინიმუმამდე დაყვანით განისაზღვროს მაღალტემპერატურული ქიმიური, მეტალურგიული და გეოქიმიური პროცესების ენერგეტიკული პარამეტრები და ამით მნიშვნელოვნად დაიზოგოს დრო და მატერიალური საშუალებები. ამის გამო მეთოდმა მოკლე ხანში მოიპოვა დიდი აღიარება როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. იგი ფართოდ იქნა აღწერილი და გამოყენებული მრავალ სამეცნიერო ნაშრომში და საცნობარო გამოცემაში, რეკომენდებულია პრაქტიკული გამოყენებისათვის, როგორც ტექნიკური და სამეცნიერო პრობლემების გადაწყვეტის მეტად მოსახერხებელი და ეფექტური საშუალება.

1962 წელს გამოიცა ნ. ლანდიას მონოგრაფია „არაორგანულ ნაერთთა მაღალტემპერატურული თბოტევადობის გათვლა სტანდარტული ენტროპიის სიდიდის მიხედვით“, რომელიც სადოქტორო დისერტაციაში მოყვანილი მეთოდის შემდგომი განვითარების და ახალი მასალით შევსების საფუძველზე შეიქმნა. კერძოდ, არაორგანული ნაერთების მრავალრიცხოვან ჯგუფებს დაემატა ფერომაგნიტური და ანტიფერომაგნიტური ნაერთები, რომლებიც სულ უფრო მზარდ პრაქტიკულ გამოყენებას პოულობდნენ ტექნიკის სხვადასხვა სფეროში.

უნდა ითქვას, რომ დიდი ხნის გასვლის მიუხედავად, ნ. ლანდიას თბოტევადობის გათვლის ე.წ. „ენტროპიულ მეთოდს“ დღესაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა, ვინაიდან კომპიუტერული საშუალებების განვითარებამ დიდად შეუწყო ხელი მის რეალიზაციას ქიმიური პროცესების თერმოდინამიკური ანალიზისთვის.

აკადემიკოს ნ. ლანდიას მოღვაწეობის მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს ის, რომ მან მყარი საფუძველი შეუქმნა საქართველოში ქიმიის მეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი სფეროს — ქიმიური თერმოდინამიკის განვითარებას. მან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფარგლებში, ჯერ მეტალურგიის ინსტიტუტსა (1959) და შემდგომ არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტში (1960), ჩამოაყალიბა ქიმიური თერმოდინამიკის მიმართულების ლაბორატორიები, რომლებიც დღესაც განაგრძობენ წარმატებულ სამეცნიერო საქმიანობას.

12 წლის მანძილზე (1960-1972 წწ.) ნ. ლანდია სათავეში ედგა არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტს. ამ პერიოდში მისი ინიციატივით და ხელშეწყობით ინსტიტუტში შეიქმნა რამდენიმე ახალი მიმართულების დანაყოფი, მათ შორის თერმოქიმიის ლაბორატორია, რომელიც დღეს თავისი დამაარსებლის და წლების მანძილზე ხელმძღვანელის სახელს ატარებს. აქ ნიკოლოზ ლანდიამ საფუძველი ჩაუყარა ექსპერიმენტული თერმოდინამიკის, განსაკუთრებით კი თერმოქიმიის, თითქმის ყველა ძირითად მიმართულებას. კვლევის ძირითად საშუალებად გამოყენებული იყო მაღალპრეციზიული კალორიმეტრია. ამ მიზნით ლაბორატორიაში შეიქმნა კალორიმეტრული აპარატურა ორიგინალური კვანძებითა და გაუმჯობესებული მეთოდიკებით. მათ შეემატა ახალი ფართო შესაძლებლობების სერიული კალორიმეტრული დანადგარები, რომლებმაც მნიშვნელოვნად გაზარდეს თერმოქიმიური კვლევების არეალი. ამრიგად, ლაბორატორიაში წარმოდგენილ იქნა შემდეგი ძირითადი მიმართულებები: დაბალტემპერატურული და მაღალტემპერატურული კალორიმეტრია, მაღალტემპერატურული გახსნის კალორიმეტრული მეთოდი, თერმოგრავიმეტრული ანალიზი, ფაზური გარდაქმნების ენერგეტიკული პარამეტრების განსაზღვრა, არაორგანული ოქსიდური ნაერთების და მათი მყარი ხსნარების თერმოდინამიკური მახასიათებლების დადგენა ტემპერატურისა და კონცენტრაციის ფართო დიაპაზონში. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ექსპერიმენტული მონაცემების სიზუსტეს და თერმოდინამიკური ფუნქციების ანალიტიკურ წარმოდგენას. ამ მიზნით ნ. ლანდიამ ექსპერიმენტული მონაცემების ასახვისთვის შეიმუშავა ახალი სახის განტოლებები და მეთოდები, სადაც გამოყენებული იყო მათემატიკური სტატისტიკის მეთოდები და განახორციელა შესაბამისი გათვლების კომპიუტერიზაცია. სამუშაოსადმი ასეთმა კომპლექსურმა მიდგომამ სანდოობის მაღალი ავტორიტეტი შეუქმნა ლაბორატორიაში ნ. ლანდიას ხელმძღვანელობით მიღებულ სამეცნიერო შედეგებს და ისინი შეტანილია საცნობარო მონაცემების სახით სპეციალურ გამოცემებსა და მონაცემთა კომპიუტერულ ბაზებში.

აღსანიშნავია, რომ მის მიერ შემუშავებულ მეთოდებს ნ. ლანდია წლების მანძილზე გამუდმებით ხვეწდა და, მიუხედავად ჯანმრთელობის მეტად მძიმე მდგომარეობისა, სიცოცხლის ბოლო დღემდე განაგრძობდა მუშაობას მათი შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

ნიკოლოზ ლანდიას მეცნიერული ღვაწლის აღიარებაა ის, რომ ჯერ კიდევ 1961 წელს ის აირჩიეს საქართველოს აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1974 წელს — აკადემიკოსად. 1972-1974 წლებში იგი ასრულებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მოვალეობას, ხოლო 1981წლიდან 1984 წლამდე იყო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. ქიმიის მეცნიერებაში შეტანილი გამორჩეული წვლილის გამო ნიკოლოზ ლანდიას ბიოგრაფია და მისი სამეცნიერო მოღვაწეობა ასახულია ბიოგრაფიულ ცნობარში „Выдающие химики мира“ (მოსკოვი, 1991). 1967 წელს მას მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით.

ნ.ლანდია დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა სამეცნიერო წრეებში. იგი მუდმივად იყო ქიმიური თერმოდინამიკის საკავშირო და საერთაშორისო კონფერენციების, აგრეთვე მენდელეევის საკავშირო საზოგადოების ყრილობების საორგანიზაციო კომიტეტის წევრი ან თავმჯდომარე. 1973 და 1982 წლებში თბილისში მისი ხელმძღვანელობით დიდი წარმატებით ჩატარდა კონფერენციები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო ქიმიური თერმოდინამიკის სფეროში მომუშავე გამოჩენილმა მეცნიერებმა როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირიდან, ისე უცხოეთის მრავალი ქვეყნიდან.

ღვაწლმოსილი მეცნიერი დიდ ენერგიას ახმარდა მრავალმხრივ საზოგადოებრივ საქმიანობას, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ იგი იყო ნიკორწმინდის სახალხო უნივერსიტეტის პირველი რექტორი, ქართული ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის და საზოგადოება „ცოდნის“ პრეზიდიუმის წევრი, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის თერმოქიმიისა და ქიმიური თერმოდინამიკის ეროვნული საბჭოს წევრი, ხელმძღვანელობდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის მუდმივ კომისიას და სხვა.

ნიკოლოზ ლანდია გარდაიცვალა 65 წლის ასაკში 1984 წლის 25 თებერვალს.

**დიდად სამწუხაროა, რომ საქართველოს მეცნიერებას უდროოდ გამოაკლდა მისი ერთ–ერთი საუკეთესო და ღვაწლმოსილი წარმომადგენელი, დიდი ერუდიციისა და მაღალი პროფესიული ავტორიტეტის მქონე მეცნიერი, გულისხმიერი და მზრუნველი აღმზრდელი და ხელმძღვანელი, კეთილშობილი და მოკრძალებული პიროვნება, გულმხურვალე მამულიშვილი. ამ გამორჩეული თვისების გამო ნ. ლანდიას ნათელი ხსოვნა მუდამ იქნება დაფასებული მადლიერი ქართველი საზოგადოების მიერ.**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

# კულტურის სამინისტრო ცალკე უნდა არსებობდეს



**განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ ჩხენკელი მიიჩნევს, რომ კულტურის სამინისტრო ცალკე უნდა არსებობდეს.**

ამის შესახებ ჩხენკელმა ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის შემდეგ მთავრობის ადმინისტრაციაში განუცხადა.

**„რაც შეეხება კულტურის მიმართულებას, გუნდში მსჯელობა მიმდინარეობს. შემიძლია, ჩემი პოზიცია გითხრათ, რომ კულტურის სამინისტრო უნდა არსებობდეს ცალკე. კულტურა საქართველოსთვის განსაკუთრებული დარგია“,** — განაცხადა მინისტრმა.

მისი თქმით, განათლებისა და კულტურის დარგები მჭიდრო კავშირშია, თუმცა გამოყოფის შემთხვევაშიც ორივე უწყება აქტიურად ითანამშრომლებს.

მინისტრმა სპორტის სფეროს მნიშვნელობაზეც ისაუბრა და განათლების უწყებასთან ამ სფეროს მჭიდრო ბმაზე გაამახვილა ყურადღება.

**„რაც შეეხება სპორტს, ეს პირდაპირ დაკავშირებულია ახალგაზრდობის საკითხებთან. მასობრივი სპორტი უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია სკოლებისთვის. ასევე მინდა, აღვნიშნო განსაკუთრებული მნიშვნელობა საუნივერსიტეტო სპორტის, შესაბამისად, სპორტის ჩართულობა განათლების სისტემაში და ზოგადად, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია ძალიან მნიშვნელოვანია. აქ არის მნიშვნელოვანი ლოგიკური ბმა სისტემებს შორის. კიდევ ერთხელ ვაფიქსირებ ჩემს პოზიციას, კულტურის სამინისტრო უნდა არსებობდეს ცალკე“,** — განაცხადა ჩხენკელმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

**ქალაქის მერის, ბატონი კახი კალაძის ინიციატივამ პარკირების წესების დარღვევისთვის 50-ლარიანი ჯარიმის დაწესების და გზებზე მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევისთვის ჯარიმის ოდენობის გაზრდის შესახებ ინფორმაციამ საზოგადოებაში გარკვეული ვნებათაღელვა გამოიწვია, რაც სხვა გარემოებებთან ერთად მოსახლეობის ძირითადი ნაწილის მძიმე მატერიალური მდგომარეობითაც უნდა აიხსნას.**

**საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად ხელისუფლება ამ ინიციატივას დადებითად აფასებს და მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვისთვის ზრუნვის დასტურად მიიჩნევს, ხოლო ოპოზიცია — პირიქით, თვლის რომ ეს ღონისძიება მიმართულია რიგითი მოქალაქეების ხარჯზე ბიუჯეტის შევსების და ხელისუფალთა კომფორტულობის უზრუნველყოფისაკენ.**




**მცირედი განმარტება ჯარიმების თემასთან დაკავშირებით...**

# არ დაარღვიო და არ დაგაჯარიმებენ! დაარღვევ - დაგაჯარიმებენ?!

ექსპერტების და მასმედიის, არასამთავრობო ორგანიზაციების ერთი ნაწილი უპირობოდ ემხრობა მთავრობის პოზიციას, მეორე კი პირიქით. კატეგორიულად და უაპელაციოდ იცავს მეორე ვერსიას.

ერთი რამ აშკარად ნათელია, რომ ბრძოლა არჩევნების მოახლოებასთან ერთად სულ უფრო მძაფრდება და ამ ბრძოლაში ყოველი მხარე (პოზიციაც და ოპოზიციაც) უტიფრად იყენებს საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების ნებისმიერ საშუალებას. ალბათ ასეთი მიდგომაც აპირობებს დისკუსიის პრიმიტიულ, უხეშ, ტლანქ ფორმას.

**მესმის, რომ არც ხელისუფლებისთვის და არც ოპოზიციისთვის, ზოგადად, საინფორმაციო სივრცეში მოასპარეზე ე.წ. ელიტისთვის ამ წერილს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ შესაძლებლობის ფარგლებში სუბიექტური მოსაზრებების საზოგადოდ გამოტანისა და ზოგადად გაზიარების სურვილმა მიკარნახა, პოზიცია ამ თემასთან და საერთოდ, ქვეყანაში არსებულ კანონშემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებით გულწრფელად გამომეხატა.**

**ნამდვილად არ ვაპირებდი მოცემულ საკითხზე რაიმე კომენტარის გაკეთებას, მაგრამ შემთხვევით შევესწარი ერთ-ერთ ტელეარხზე პარლამენტის წევრისა და წამყვანის კამათს, რომლელშიც აშკარად იკვეთებოდა თემისადმი უკიდურესად გამარტივებული და ზერელე დამოკიდებულება.**

ლოგიკური იყო პარლამენტარის პოზიცია, რომ ჯარიმის დაწესებით პრობლემა არ გვარდება, ჯარიმა მხოლოდ ერთ-ერთი ფაქტორია და პრობლემის არსი სხვა ჭრილში უნდა იხილებოდეს, მაგრამ კაცი, რომელიც ჟურნალისტის და აქედან გამომდინარე, ობიექტური, მიუკერძოებელი ინფორმაციის მაძიებელი და გამავრცელებელი უნდა იყოს, უაპელაციოდ აკეთებდა უკიდურესად კატეგორიულ დასკვნებს, რომ მხოლოდ ჯარიმაშია პრობლემის მოგვარების გზა.

მისი არგუმენტის ფორმა და შინაარსი იყო მარტივი და ერთმნიშვნელოვანი: არ დაარღვიო და არ დაგაჯარიმებენ, დაარღვევ — დაგაჯარიმებენ და მერე არ იზამ, რომ პრევენციული ფუნქციის შესრულება მხოლოდ და მხოლოდ ასეთი მიდგომით და ამ ფორმულით არის შესაძლებელი.

დიდი მტკიცება არ უნდა სჭირდებოდეს იმის დასაბუთებას, რომ ასეთი მსჯელობა იმთავითვე აცდენილია პრობლემის ნამდვილ არსსა და ბუნებას. სახელმწიფო, რომელსაც აქვს პრეტენზია დემოკრატიულობაზე, თავისუფლებაზე, სამართლიანობაზე ჯარიმის თუ სხვა სანქციების დაწესებას სხვა მიდგომებით, კანონშემოქმედებით საქმიანობის სხვა კრიტერიუმებითა და საფუძვლებით უნდა ახორციელებდეს.

კონკრეტულად, კანონშემოქმედებითი საქმიანობის საწყისი და მთავარი საფუძველი უნდა იყოს მხოლოდ ზნეობრიობის და სამართლიანობის იმპერატივზე დაფუძნებული პრინციპები და იდეები, რომლებიც საწყისშივე გამორიცხავენ მერკანტილური, პოლიტიკური მიზანშეწონილობის ნიშნითა და მოტივით ნაკარნახევი სამართლებრივი ნორმების დაწესებას.

მიგრენს გილიოტინით არ კურნავენ. ცნობილია, რომ შუა საუკუნეების ევროპაში ჯიბის ქურდის ჩამოხრჩობით დასჯის პროცესიაზე, მოედანზე შეკრებილ ბრბოში ჯიბის ქურდობას მაინც სჩადიოდნენ. ამდენად პრაქტიკა ადასტურებს, რომ სასჯელი არ არის დანაშაულის, სხვა სამართალდარღვევის აღკვეთისა და პრევენციის ერთადერთი საშუალება. ის სამართალდარღვევაზე სახელმწიფოს მხრიდან რეაგირების მხოლოდ უკიდურესი ფორმაა.

სასჯელსა და სამართალდარღვევას ბევრი ობიექტური მიზეზი და სუბიექტური ხასიათის ფაქტორი იწვევს. ამიტომაც, თუ სანქციაზეა საუბარი, მინიმუმ უნდა ვიცოდეთ დანაშაულის ან სამართალდარღვევის გამომწვევი მიზეზები. შესაბამისად, პარკირებისთვის თუ გზებზე მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევისთვის სანქციების დაწესებამდე შესწავლილი უნდა იყოს მათი გამომწვევი მიზეზები — გზების გამართულობა და კომუნიკაციები, პარკირების შესაძლებლობა, ტრანსპორტის ოდენობა და ხასიათი და სხვა ფაქტორები, რაც ასევე გულისხმობს დამრღვევის მატერიალურ შესაძლებლობას, ნებაყოფლობით შეასრულოს სახელმწიფოს მიერ დაწესებული სანქცია. სხვა შემთხვევაში სანქცია იქნება უსამართლო და არაეფექტური.

სახელმწიფო ალბათ ვერ იქნება ბოლომდე სამართლიანი და სწორი, თუ აწესებს პარკირების წესების დარღვევისთვის სანქციას, როცა პარკირების ნორმალური პირობები არ აქვს შექმნილი.

**აზრი იმის შესახებ, რომ მოქალაქეები დაწესებული სანქციების გამო საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილებას შეეჩვევიან, უკიდურსად მარტივი და ალოგიკურია, თუნდაც იმიტომ, რომ ასეთი მიდგომა პირდაპირ ზღუდავს არჩევანის კანონით გარანტირებულ უფლებას. ჯარიმაზე საუბრით არ იწყება გზებზე უსაფრთხოების წესების დაცვა, პირიქით, უპირველესია გზები და ქუჩები იყოს მოწყობილი სატრანსპორტო საშუალებების ოპტიმალურად და ეფექტურად გამოყენებისათვის .**

ქალაქის თუ სხვა ადმინისტრაციული ერთეულის მესვეურთა პიდაპირი მოვალეობა უნდა იყოს ტრანსპორტის შეუფერხებელი გადაადგილებისა და პარკირებისთვის სათანადო პირობების შექმნა და არა ჯარიმების დაწესება და მოსახლეობისგან ფულის ამოღების მექანიზმების ძიება.

დაჯარიმების ან სასჯელის სხვა ფორმის გამოყენების ახსნა და გამართლება, მხოლოდ მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნებზე აპელირებით, რბილად რომ ვთქვათ, უზნეობაა.

ასე შეიძლება იმსჯელოს იმ ხელისუფალმა, რომელმაც არ იცის საკუთარი ხალხის მატერიალური მდგომარეობა, ან იცის, მაგრამ სულაც არ აინტერესებს იგი. ასეთი პოზიცია იმას მიანიშნებს, რომ ადამიანი არ არის მოქცეული სახელმწიფო პოლიტიკის ფოკუსში. იგი თავისი პრობლემებით მხოლოდ საშუალებაა და არა მიზანი. აქ მთავარია პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა, თუ რას ენიჭება უპირატესი უფლება.

როგორც ითქვა, პარკირების და სატრანსპორტო საშუალებების ექსპლოატაციის პრობლემა ჯარიმებით და სანქციებით არ იწყება. აქ უმთავრესია დაგეგმარება და ფინანსური თუ სხვა რესურსის სწორად წარმართვა. მაგალითისთვის დასავლეთის ბევრ ქვეყანაში სატრანსპორტო უსაფრთხოების წესების დარღვევისთვის ამოღებული თანხები იხარჯება მხოლოდ მიზნობრივად, მხოლოდ საგზაო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად, გასაუმჯობესებლად და არა ბიუჯეტის შესავსებად. შესაბამისად, ისეთნაირად არის მოწყობილი საგზაო ინფრასტრუქტურა, რომ მოქალაქე არ არის იძულებული, სატრანსპორტო საშუალების კომფორტულად მოხმარებისთვის არსებული წესები დაარღვიოს. ჩვენთან სატრანსპორტო საშუალების პარკირების და ნორმალურად ექსპლოატაციისთვის საჭირო პირობები ხომ ჯერ კიდევ არ არსებობს.

**კარგი იქნება თუ ხელისუფლება გასცემს პასუხს კითხვაზე, რა ოდენობის თანხა არის მიღებული ჯარიმებისა და სხვა სანქციების შედეგად, სად და რა დანიშნულებით დაიხარჯა იგი?**

**მოსახლეობის რა ნაწილს შეუძლია გადაიხადოს 50-ლარიანი ჯარიმა საარსებო მინიმუმის დაურღვევლად?**

პრობლემა რომ სახეზეა, ცხადია და მასზე პასუხის გასაცემად მხოლოდ ჯარიმაზე და სანქციებზე ზრუნვა საკმარისი არ არის.

ჩვენ არ ვამბობთ, რომ დარღვევაზე სახელმწიფოს არ უნდა ჰქონდეს რეაქცია, პირიქით სამართალდარღვევისთვის ყველა შემთხვევაში უნდა მოქმედებდეს სასჯელის გარდუვალობის პრინციპი. მთავარია, სახელმწიფოს რეაქცია ეფექტური და მიზანშეწონილი იყოს, რაც განსახილველ შემთხვევაში გულისხმობს არა მხოლოდ ჯარიმის სახისა და ოდენობის დადგენას, არამედ პრევენციული ფუნქციის სწორად განსაზღვრას, პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების ბალანსის დაცვას. უნდა ითქვას, რომ დემოკრატიულ სამოქალაქო საზოგადოებაში ჯარიმის თუ სხვა სანქციის გამოყენება ხორციელდება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე და არა შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ.

სხვათა შორის გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში ასეთი პრაქტიკა იყო.

**მართალია, ეს დაკავშირებულია სასამართლო ხელისუფლებისთვის სახელმწიფო ხარჯების გაზრდასთან, მაგრამ ისიც ჭეშმარიტია, რომ დემოკრატიულ ქვეყანაში იაფფასიანი მართლმსაჯულება არ არსებობს.**

**პოლიციას არ უნდა ჰქონდეს სასჯელის გამოყენების ფუნქცია, ის სამართალდარღვევის მხოლოდ გამოვლინების ვალდებულებას უნდა ასრულებდეს.**

კანონის ნორმის მიღებამდე პრობლემა კომპლექსურად და ყოველმხრივ უნდა იყოს განხილული. გამარტივებული მიდგომა, რომ **არის დამრღვევი და არის სანქცია,** არ ასახავს მოვლენის არსს და არ შეიძლება სრულად პასუხობდეს სამართლიანობის პრინციპებს და მიზნებს. საჭიროა, კანონმდებელმა იცოდეს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა, თუნდაც გადახდისუნარიანობა. როგორია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ხომ არ ქმნის ის ხელსაყრელ პირობებს სამართალდარღვევისთვის, თუ არსებობს მისი აღმოფხვრის შესაძლებლობა და რასთან არის დაკავშირებული მისი რეალიზაცია.

ასევე კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ნამდვილი თანასწორუფლებიანობა და სამართლიანობა არ მიიღწევა ერთი სტანდარტით, ერთი საზომით. სასჯელის გამოყენების დროს საჭირო და აუცილებელია საკითხისადმი დიფერენცირებული მიდგომა, დამრღვევის პიროვნებისა და მისი მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინება, რაც შეუძლია განახორციელოს მხოლოდ სასამართლომ.

ვფიქრობთ, პენსიონერი ან სხვა პირი, რომლის შემოსავალიც თვეში 200 ლარს შეადგენს, არ შეიძლება უზრუნველყოფილი მოქალაქის ოდენობით იხდიდეს ჯარიმის თანხას. ერთის მიმართ ამ ჯარიმას ექნება უმძიმესი მატერიალური შედეგი, როცა მეორისთვის სულაც არაფერს ნიშნავს!.. შესაბამისად, სანქციის შემაკავებელი ეფექტიც სრულიად განსხვავებული იქნება.

ჩვენი აზრით, ჯარიმის თანხები სახელმწიფოს მიერ უნდა იხარჯებოდეს მხოლოდ გზებისა და სხვა მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურების გამართვისა და კეთილმოწყობისათვის, როგორც ეს ხდება დასავლეთის მრავალ ქვეყანაში.

ანალოგიურად უნდა წყდებოდეს საკითხი საპროცესო გარიგების, გირაოს და ა.შ. სახის ამოღებულ თანხებთან მიმართებით. მაშინ არ იქნება საბაბი ჯარიმების გაზრდის არაჯანსაღი მიზნების თაობაზე მსჯელობისათვის.

მსგავსი რეგულაციები დასავლეთის ბევრ ქვეყანაში დიდი ხანია, მოქმედებს. მაგ. აშშ-ში არის დანაშაულით მიღებული ზიანის ანაზღაურების შესაბამისი კანონით დადგენილი ფონდი, სადაც ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხებთან ერთად ხდება საპროცესო გარიგების შედეგად მიღებული თანხის აკუმულირება, შემდგომ სახელმწიფო დაზარალებულს ამ ფონდიდან უნაზღაურებს დანაშაულით მიყენებულ ზარალს.

და ბოლოს, საქართველოში ხშირად, ხელაღებით, პარტიებისა თუ პიროვნებების ინტერესებიდან გამომდინარე, წარმოებს კანონშემოქმედებითი საქმიანობა, რაც აპირობებს სამართლებრივი სისტემის არათანმიმდევრულობასა და არასტაბილურობას.

**საკანონმდებლო სისტემის სტაბილურობის დამკვიდრებისთვის საჭირო და აუცილებელია, მიღებული იქნეს სპეციალური კანონი, რომელიც დაადგენს კანონშემოქმედებითი საქმიანობის კონკრეტულად გაწერილ წესს, უზრუნველყოფს ამ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ საქმიანობაში არასამთავრობო ორგანიზაციების, ადვოკატთა ასოციაციის და ზოგადად საზოგადოების ფართო წრის ჩართულობას.**

**ყველაფრის მოწესრიგება შეიძლება, მხოლოდ საჭიროა პოლიტიკური ნება, რაც მმართველი პოლიტიკური ძალის უპირველესი მოვალეობაა.**

**ჯემალ შელია,**

**ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ვიცეპეზიდენტი**

# 25 წელიწადი ძლიერ და ერთიან გუნდად...

**2019 წლის 8 ნოემბერი...**

**დიდი სამზადისი და მღელვარება სკოლა-ლიცეუმ „ცოდნაში“...**

სკოლის დირექცია, მასწავლებლები და მოსწავლეები ემზადებოდნენ დაარსებიდან 25-ე წლის აღსანიშნავად. იუბილეზე მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ: **ბექა სივსივაძე** და **მამუკა მეჭიაური** – საქართველოს პარლამენტის წევრის კობა კობალაძის წარმომადგენლობის სპეციალისტები; **ზურაბ ქაშიაშვილი** – გლდანის რაიონის გამგებლის მოადგილე, **ანა ირემაშვილი** – თბილისის საკრებულოს წევრის, გლდანის მაჟორიტარის შალვა ოგბაიძის წარმომადგენელი; **გიორგი ჭიღლაძე** – ავჭალა, გლდანისხევის საუბნო განყოფილების უფროსი; **ევა ბაბალაშვილი** – მსოფლიო ქართველ და ებრაელ ქალთა ასოციაციის პრეზიდენტი და „ქრიზანთემების“ ფესტივალის დედოფალი; **ერნა წიფურია** – ანსამბლ „გვირილას“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი; **ნინიკო ჩიხლაძე** – ასოციაცია „საქართველოს ქალბატონების“ პრეზიდენტი; **ტრისტან ჩიხლაძე** – ჟურნალ „ჯეჯილის“ რედაქტორი; **ქეთი ლაზარაშვილი** – გამომცემლობა „მინიატურის“ დამფუძნებელი და რედაქტორი; **ვაჟა დურგლიშვილი** – კომპოზიტორი; **გულნაზ გოლეთიანი** – მომღერალი... მოსწავლეთა მშობლები, დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები, წარჩინებული კურსდამთავრებულები, სკოლის დირექტორები და სხვ.



გლდანის რაიონის გამგებლის მოადგილე ზურაბ ქაშიაშვილი, კობა კობალაძის ბიუროს თანამშრომლები – ბექა სივსივაძე და მამუკა მეჭიაური

საიუბილეო საღამოზე სკოლის დამფუძნებელმა და დირექტორმა, ქ-ნმა **ნაზი ნადირაძემ** მისასალმებელი სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას. მან ეს მნიშვნელოვანი თარიღი მიულოცა თანამშრომლებს, რომლებიც მიუხედავად მრავალი ქარცეცხლიანი წლისა, შეკრულ, ძლიერ და ერთიან გუნდად დარჩა.

დირექტორმა ისაუბრა სკოლის მიზანსა და მისიაზე; დაასახელა ის პრიორიტეტული კომპონენტები, რითაც ხელმძღვანელობდა სკოლა ამ წლების მანძილზე; ხაზი გაუსვა, რომ უმთავრესი მიზანი არის მოსწავლეებისთვის ფუნდამენტური ცოდნის მიცემა და მათთვის იმ უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, რომლებიც მომავალში ცხოვრებას და კარიერულ წინსვლას გაუადვილებთ.

ასევე აღნიშნა ლიცეუმის მოსწავლეთა წარმატებები სხვადასხვა სასწავლო თუ შემოქმედებით ოლიმპიადებზე.

სკოლის დირექტორმა გაიხსენა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორებიცაა სასწავლო და სოციალური პროექტები: **„მეგობარო, ხელი გამომიწოდე“!** – სასწავლო-შემეცნებითი პროექტი შაუმიანის №1 და №2 სკოლებში.



12 კლასის მოსწავლე, პიანისტი კოკა სულაშვილი



კომპოზიტორი ვაჟა დურგლიშვილი



სკოლის დირექტორი ნაზი ნადირაძე

თოქ-შოუ **„თაობათა შორის ურთიერთობა“, „სიკეთე გადამდებია“** – ძეგვის ბავშვთა სახლში და სხვა.

მოსწავლეთა თვითშემოქმედებითი საღამოები, შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან – მწერლებთან, მსახიობებთან, ჟურნალისტებთან, პოეტებთან და საზოგადო მოღვაწეებთან, გასვლითი გაკვეთილები, მიზნობრივი სასწავლო-შემეცნებითი ექსკურსიები და ა.შ.

მსგავსმა მრავალფეროვანმა აქტივობებმა საინტერესო გახადა მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრება. ასევე, მან ისაუბრა სამომავლო გეგმებზე, განსახორციელებელ პროექტებსა და ღონისძიებებზე.

დირექტორმა მადლობის სიგელებით დააჯილდოვა ის პედაგოგები და მშობლები, რომლებიც მთელი ამ წლების მანძილზე იღვწოდნენ მოსწავლეთა საკეთილდღეოდ.

სკოლას იუბილე მიულოცეს წარმატებულმა კურსდამთავრებულებმა, ამჟამინდელმა მეთორმეტეკლასელებმა, მშობლებმა და მოწვეულმა სტუმრებმა.

დასასრულ გაიმართა საზეიმო კონცერტი მათივე მონაწილეობით.

სკოლა-ლიცეუმ „ცოდნას“ იუბილემ სასიამოვნო გარემოში ჩაიარა; იყო ბევრი აპლოდისმენტი, მილოცვა, ყვავილები; უამრავი დადებითი ემოცია და ღიმილიანი სახე.

**დარეჯან ცხომარია,**
**ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.**

**ლიკა ლაგვილავა,**
**დაწყებითი კლასების მასწავლებელი.**
**სკოლა-ლიცეუმი „ცოდნა“.**

# 2020 წელს დევნილებისთვის ქუთაისში – 725, წყალტუბოში კი 560 ბინის განაწილება იგეგმება

**ამის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ განაცხადა, რომელმაც ზესტაფონში, ქუთაისსა და სამტრედიაში დევნილ მოსახლეობასთან შეხვედრები გამართა.**

მინისტრის თქმით, იძულებით გადაადგილებული პირების განსახლება და მათთვის საარსებო წყაროების გაჩენაში ხელშეწყობა მთავრობის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს, რისთვისაც იმერეთის რეგიონში აქტიურად მიმდინარეობს ბინათმშენებლობის პროცესი. ეკატერინე ტიკარაძის განმარტებით, პირველ რიგში ბინით დაკმაყოფილდებიან ის დევნილი ოჯახები, რომლებიც გაუსაძლის პირობებში ცხოვრობენ და საჭიროებენ დაუყოვნებლივ განსახლებას. პარალელურად მოხდება ნგრევადი და სიცოცხლისთვის საშიში ობიექტების დახურვა.



ეკატერინე ტიკარაძე ქუთაისში, სასტუმრო „ხვამლში“ მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს ეწვია და მათ საცხოვრებელ პირობებს ადგილზე გაეცნო. ასევე მოინახულა აღმაშენებლის ქუჩაზე, ახალაშენებულ კორპუსში მცხოვრები დევნილები. მინისტრის თქმით, მთავრობის შესაბამისი განკარგულება უკვე გამოიცა და იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს მართლზომიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართები უახლოეს მომავალში დაუკანონდებათ. მინისტრი ზესტაფონში, რუსთაველის ქუჩაზე და სამტრედიაში, ეგრისის ქუჩაზე მცხოვრებ დევნილ მოსახლეობასაც შეხვდა და სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემების შესახებ ინფორმაცია მოისმინა. ეკატერინე ტიკარაძემ დევნილ მოსახლეობას იმ პროგრამების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია, რაც მათ საარსებო წყაროების გაჩენაში ხელს შეუწყობს. ეს შეეხება როგორც მცირე ბიზნესში ხელშეწყობას, ისე გადამზადებას და პროფესიული განათლების დაფინანსებას.

# საპენსიო ასაკს მიღწეული მასწავლებლების პენსიაზე ღირსეული გაცილების მეორე ეტაპი

**ჩვენ ვიწყებთ მეორე ეტაპს საპენსიო ასაკს მიღწეული მასწავლებლების პენსიაზე ღირსეული გაცილების თვალსაზრისით,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, იწყება მეორე ეტაპი, რომლისთვისაც სრული დაფინანსება უკვე არსებობს. გიორგი გახარიამ ხაზი გაუსვა, რომ პროექტის პირველი ეტაპი იყო წარმატებული და მასში 6 450-მა მასწავლებელმა მიიღო მონაწილეობა.

**„პროექტის მეორე ეტაპი დასრულდება 2019 წლის ბოლომდე, რამაც, რა თქმა უნდა, ხელი უნდა შეუწყოს განათლების სისტემაში როგორც ახალგაზრდა პედაგოგების გამოჩენას, ასევე ჩვენი ღირსეული და ღვაწლმოსილი მასწავლებლების შემდგომ პენსიაზე ღირსეულად გაშვებას. ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია და დარწმუნებული ვარ, რომ ის, რაც დაწყებული იყო ასევე იმ ძალზე ეფექტურ, ღირსეულ და წარმატებულ გუნდთან ერთად, გაგრძელდება უახლოესი თვეებისა და წლების განმავლობაში“,** – განაცხადა გიორგი გახარიამ.

# ნავთობისა და გაზის კორპორაცია ევროობლიგაციების გამოშვებას აპირებს

**საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია მარტის ბოლოს ან აპრილის დასაწყისში 300 მილიონი ევროს ევროობლიგაციებს გამოუშვებს. ამის შესახებ საქართველოს პირველ არხს კორპორაციის ფინანსურმა დირექტორმა ომარ ოგბაიძემ განუცხადა.**

აღნიშნული თანხით 2016 წელს გამოშვებული ევროობლიგაციების (250 მილიონი დოლარი) რეფინანსირება მოხდება, დარჩენილი თანხა კი (70-80 მილიონი დოლარი) გარდაბანში ახალი, რიგით მესამე თბოელექტროსადგურის მშენებლობას მოხმარდება.

ოგბაიძის ინფორმაციით, 2012 და 2016 წელს კორპორაციამ ობლიგაციები აშშ დოლარში გამოუშვა, ახლა კი ემისია ევროში გადაწყდა.

**„შედეგად, ჩვენი საპროცენტო ხარჯები შემცირდება“,** – აღნიშნა კორპორაციის ფინანსურმა დირექტორმა.

ოგბაიძის განმარტებით, შედარებით შეღავათიანი პირობები კორპორაციის საკრედიტო რეიტინგის გაზრდასაც უკავშირდება.



# პოლიტიკურ ოკეანეში უკომპასო ნავივით დაფარფატებთ!..

**უკვე მერამდენე წელია, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკასთან“ აქტიურად თანამშრომლობს ბელგიაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე, ბატონი ომარ ხახაშვილი. მისი ღრმად შინაარსიანი, უაღრესად საინტერესო სტატიები წაკითხვისთანავე იწვევს მკითხველში მოკრძალებას დიდი ნიჭის, ცოდნის და თემების ღრმა ანალიზის გამო. ბატონი ომარის ნებისმიერი სტატია რომ დიდი შრომის, ფიქრის, ჭეშმარიტების ნაყოფია, ეჭვს არ იწვევს მკითხველში, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც ალმაცერად უმზერენ მის შემოქმედებას და ცდილობენ, დაარწმუნონ საკუთარი თავიც და სხვაც, რომ ეს, ასე არ არის.**

რა გაეწყობა, ყველას აქვს თავისი შეხედულება, საჯაროდ აზრის გამოთქმის უფლება, რაც დემოკრატიულ საზოგადოებაში მისასალმებელია, თან მეტ ინტერესს იწვევს იმათში, ვისაც ბატონი ომარის მორიგი წერილი არ წაუკითხავს. როგორც თვითონ აღნიშნავს ბატონი ომარი: „ჩემმა წერილმა „ნოეს გზით თუ ილიას გზით“ დიდი პოლემიკა გამოიწვია, რაც ცუდი არ არის, რადგან კამათში იბადება ჭეშმარიტება“.

ვიდრე მთავარზე გადავიდოდე, მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ ომარს საინტერესო სტატიების, ხოლო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ მათი გამოქვეყნებისთვის. არ შევუდგები სტატიის – „ნოეს გზით თუ ილიას გზით“ განხილვას, ვინაიდან ვინც წაიკითხა, უდავოდ ჩაწვდა (სხვაგვარად ვერ წარმოვიდგენ) ნაშრომის მნიშვნელობას, სიღრმეს, დამაჯერებლობას. ვისაც არ წაუკითხავს, ვურჩევ წაიკითხოს, ვინაიდან ისტორიასთან მოთამაშეებისთვის თვალის ასახელად მისწრებაა...

მოვიშველიებ ბატონი ომარის ნათქვამს: „მე აქ პოზიცია არ მაქვს, რადგან ისტორიკოსის ფუნქციას ვასრულებ, პოზიციის ქონა ვახტანგ გურულს ეტყობა, რაც ხელს უშლის მას, ისტორიკოსის ფუნქცია შეასრულოს“.

ვიმედოვნებ, ბატონი ომარის ციტირებას ბატონი ვახტანგი, რომელსაც დიდ პატივს ვცემ, მის წინააღმდეგ გალაშქრებად არ მიიღებს, უბრალოდ, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის და საქართველოს სსრ-ის ისტორიას მეც ისე ვუყურებ, როგორც ბატონი ომარი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის „შემოქმედება“ – მოჭარბებული პატრიოტიზმითა და ზომაგადასული ისტორიული წივილ-კივილით არის მოწოდებული თანამედროვე საზოგადოებისთვის, რაც ისტორიის გაყალბებას უფრო ჰგავს, ვიდრე სინამდვილის გადმოცემას.

სამწუხაროდ, ლიბერალიზმის ბაცილით დაავადებულთა რაოდენობა დღენიადაგ იზრდება არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთშიც. ნეოლიბერალურმა აზროვნებამ, მით უმეტეს ქმედებამ, ზენიტში აიყვანა საბჭოთა კავშირის ლანძღვა-გინება, ხოლო მისი შემქმნელები – ლენინი და სტალინი, განსაკუთრებით სტალინი, მიწასთან გაასწორა.

რუსეთის ტელესივრცეში, ისე, როგორც ბეჭდურ მედიაში სტალინის ხსენების გარეშე დღე არ ჩაივლის, განსაკუთრებით თოქ-შოუებში და ყველგან ნეგატიურად. როგორც ჩანს, სახელმწიფო დონეზე საბჭოთა კავშირი, სტალინი და მისი პოლიტიკა უარყოფითად იხილება, რაც საბოლოო ჯამში თვით რუსეთზე მოქმედებს.

ნეოლიბერალური ძალები ენერგიას არ იშურებენ საკუთარი ქვეყნის ისტორიის განქიქება-ლანძღვისთვის. მცირე შანსსაც არ უშვებენ ხელიდან საზოგადოებას სხვა კუთხით, ცხადია ცუდით, დაანახონ 70-წლიანი საბჭოთა ისტორია, დიდი სამამულო ომი; დაბეჯითებით ამტკიცებენ დაუმტკიცებელს, რომ არა ბოლშევიკური საბჭოეთი, მეორე მსოფლიო ომს ადგილი არ ექნებოდაო.

ანტისაბჭოური, ანტისტალინური წიგნებით, რომანებით, კინოფილმებით გაჯერდა რუსეთის წიგნის, კინემატოგრაფიის ბაზარი. დასავლეთზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. დასავლური შეკვეთით და დაფინანსებით მრავალი რუსი „მწერალი“ ითბობს ხელს და სტამბავს „წიგნებს“ დიდ სამამულო ომთან დაკავშირებით. ყველას ჩამოთვლას სტატია ვერ დაიტევს. ვიტყვი ერთზე, ვინმე სუვოროვზე, რომლის ყველა „ისტორიული რომანი“ სტალინის და საბჭოეთის ლანძღვა-გინებით იწყება და თავდება. ავტორის მტკიცებით, სამამულო ომი სტალინმა გააჩაღა და არა ჰიტლერმა, რომელიც იძულებული იყო, გამოპასუხებოდა მას. სტალინმა ომში ჩაითრია ჰიტლერი.

ქართველი მკითხველისთვის „ჩათრევა“ ცნობილი სიტყვაა, ვინაიდან მას ხშირად ხმარობენ ნაცები, როდესაც 2008 წლის ცხინვალის ომს ეხებიან – რუსეთმა ჩაითრია სააკაშვილი ავანტიურაში. მავანი იტყვის – მერე რა, ასეთ ლიტერატურას წაიკითხავენ და გვერდზე გადადებენ, ჭეშმარიტება კი სამარადისოდ დარჩებაო.

ვერ დავეთანხმები, ვინაიდან რეალობა სხვას ღაღადებს. კარგა ხნის წინათ ერთი ყმაწვილი „დიპლომატი“ მედავებოდა – წიგნი წავიკითხე, სადაც დაზუსტებით წერია, როგორ დაიწყო სტალინმა ომიო. მას სუვოროვის „შედევრი“ ჰქონდა მხედველობაში.

რუსეთის ხელისუფალთა მიერ წლების განმავლობაში წარმოებულმა თვითგვემამ, საბჭოთა კავშირის, სტალინის გინებამ, რეპრესირებულთა მემორიალების მასობრივმა წამოჭიმვამ, საბჭოურის ზერელედ, კრიტიკით მოხსენიებამ მადა გაუღვივა კოლექტიურ დასავლეთს, რომელიც დაჟინებით და კატეგორიულად ითხოვს ფაშიზმისა და კომუნიზმის ერთ სიბრტყეზე დაყენებას.

**ჩვეულებრივად იქცა წითელი არმიის მიერ გათავისუფლებული აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიებზე აღმართული საბჭოთა ჯარისკაცებისა და სახელოვანი მხედართმთავრების ძეგლების მასობრივი დემონტაჟი, საფლავების წაბილწვა, საბჭოთა სიმბოლიკის აკრძალვა, ფაშიზმის აღორძინება, საბჭოთა ვეტერანი მეომრების გვერდით ფაშისტი ვეტერანების მოხსენიება, მათთვის პატივის მიგება, „ახალი“ ფაშისტების ჩირაღდნიანი მარშები, მეორე მსოფლიო ომის დამნაშავე ფაშისტების გმირებად შერაცხვა, მათთვის ძეგლების დადგმა, ქუჩებისა და მოედნებისთვის ფაშისტების სახელების დარქმევა და სხვა მრავალი.**

ამ ამორალურობაში პირველობას უკრაინა იჩემებს – ქვეყანა, რომელმაც ოკუპაციის მძიმე პერიოდი განვლო და გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მილიონობით მსხვერპლი გაიღო. ყოფილ საბჭოთა უკრაინაში ფაშისტები – ბანდერა, შუხევიჩი, სხვები არიან გაფეტიშებული, ხოლო სამამულო ომის გმირები – მტრებად, ოკუპანტებად შერაცხილი. რას მივაწეროთ ყოველივე ეს, თუ არა რუსეთის ხელისუფალთა ხრუშჩოვის, გორბაჩოვის, ელცინის, იაკოვლევის, სხვების საბჭოეთისა და მის ლიდერთა გამუდმებულ კრიტიკას.

გასულ 7 ნოემბერს რუსეთმა, მოსკოვში, წითელ მოედანზე აღნიშნა 1941 წლის სამხედრო პარადი – ლეგენდარული, ისტორიული მოვლენა არა მარტო საბჭოეთის ცხოვრებაში, რითაც იმჟამინდელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. პარადმა დაანახვა ყველას, როგორც შიგნით, ისე გარეთ, რომ საბჭოეთის ძლიერება, სულიერი სიმტკიცე, საბრძოლო შემართება ურყევია. არადა, თოვლით დაბურულ, გაყინულ მოსკოვში, იმედდაკარგულ მოსკოველებსა და საბჭოეთის ხალხებში სამხედრო პარადის ჩატარება უტოპიად მიიჩნეოდა.

მაშინ ფაშისტური გერმანიის ორმილიონიანი არმია სამი მხრიდან უტევდა მოსკოვს – ათასობით თვითმფრინავითა და ტანკით, სამხედრო ტექნიკით. საბჭოთა მმართველობის ორგანოები გახიზნული იყო მოსკოვიდან, ისე, როგორც რევოლუციის ბელადის ლენინის ნეშტი. სტალინსაც წასვლას ურჩევდნენ, თუმცა ამაოდ. სტალინს სხვა გეგმა ჰქონდა – სამხედრო პარადი.

ლენინის მავზოლეუმზე სტალინის, სხვა საბჭოთა ხელმძღვანელების გამოჩენამ იმედი შესძინა, როგორც წითელ არმიას, ისე საბჭოთა ხალხს. ამ პარადიდან დაიწყო მტრის შეტევის მოგერიება, ტრიუმფალური სვლა ბერლინისკენ.

დასავლური პროპაგანდით დატყვევებული ყოფილი საბჭოელები, დიდი სამამულო ომის გმირების შვილები და შვილიშვილები, ქარაფშუტულად აცხადებდნენ – ნეტავ წაეგო საბჭოთა კავშირს, „მერსედესებით“ ვივლიდით და ბავარიულ ლუდს მივირთმევდითო. ესოდენ სანუკვარი ოცნება სულაც არ შედიოდა გერმანული ფაშიზმის გეგმებში. ფაშისტების მიზანი რუსეთის, უკრაინის, სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მოსახლეობის გამოხშირვა და დარჩენილთა კატორღულ სამუშაოებზე გამწესება იყო.

**თანამედროვე რუსეთმა ლეგენდარული სამხედრო პარადი გაიხსენა და თეატრალური სპექტაკლიც დადგა წითელ მოედანზე – პატრიოტული ლოზუნგებიით, იმჟამინდელი ვითარების გახსენებით, ოღონდ უსტალინოდ. ტელეკომპანიებს, რომლებიც პირდაპირ ეთერში გადასცემდნენ ლეგენდარული პარადის იმიტაციას, ერთი სიტყვაც არ დასცდენიათ პარადის იდეის ავტორსა და სულისჩამდგმელ სტალინზე, თითქოს პარადი ხალხმა მოიგონა.**

თუ სამამულო ომი ხალხმა მოიგო, რა არის გასაკვირი, რომ 1941 წლის 7 ნოემბრის პარადი ხალხს ჩაეტარებინა?

რახანია რუსეთს და მსოფლიოს კრემლიდან თავს ახვევენ მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვებას მეთაურის გარეშე, რაც მსოფლიო ისტორიაში უპრეცედენტო მოვლენაა, რამეთუ მხედართმთავრის გარეშე არც ერთი ომი გამარჯვებით არ დამთავრებულა. არათუ ომში, არამედ სპორტულ შეჯიბრებაში, ნებისმიერ დარგში, კოსმოსშიც კი, სადაც ორი კოსმონავტიდან ერთი მეთაურია – ულიდერო გამოსვლა შეუძლებელია.

ნეოლიბერალთა წყალობით სტალინი რეპრესიების მამად არის მიჩნეული და ამის წინააღმდეგ ომახიანად არავინ იღებს ხმას, თუ იღებს, ისე დარცხვენით და შიშით, თითქოს კაცის კვლაში ადანაშაულებდნენ.

დიახ! იყო რეპრესიები, მაგრამ ნამდვილი ისტორიკოსების და ექსპერტების მტკიცებით, რომ არ ყოფილიყო – სამამულო ომის მოგება შეუძლებელი იქნებოდა, ვინაიდან შემორჩენილი ტროცკისტები, ბოლშევიკთა კლასობრივი მტრები – ვლასოვები, ტუხაჩევსკები და სხვები ზურგში ლახვარს ჩასცემდნენ ხელისუფლებას, ქვეყანას.

**იყო თუ არა რეპრესიების თვალსაზრისით იმჟამინდელი საბჭოთა კავშირი გამორჩეული?**

**გადახედეთ გერმანიის, იტალიის, ესპანეთის, იაპონიის, სხვების იმჟამინდელ ისტორიას და დარწმუნდებით საწინააღმდეგოში. რაც შეეხება რეპრესიების მსხვერპლთა რაოდენობას – გაცილებით ნაკლებია, ლიბერალთა მიერ გაჟღერებულ რაოდენობაზე და არაფრით აჭარბებს სხვა ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს.**

ცხადია, ნებისმიერი ადამიანისთვის სიცოცხლის წართმევა ტრაგედიაა, მაგრამ... მაშინდელ მსოფლიოში სხვაგვარად აღიქმებოდა ყოველივე. იმ ეპოქას სხვა კრიტერიუმები ჰქონდა და დღევანდელი გადასახედიდან მათი შეფასება, იმჟამინდელი ცხოვრების პარამეტრების გათვალისწინებით უნდა მოხდეს.

არანაკლები სისხლი დაიღვარა ჩინეთში მაო ძედუნის კულტურული რევოლუციის დროს. მაშინ მასობრივ გადასახლებებსაც ჰქონდა ადგილი. მაგალითად, ჩინეთის კომპარტიის გამორჩეული მუშაკი, დენ სიაოპინი, შემდგომში ჩინეთის მეთაური პეკინიდან შორს, მივარდნილ სოფელში გაასახლეს – მძიმე ფიზიკური სამუშაოს შესასრულებლად. მიუხედავად დაშვებული შეცდომებისა, ჩინეთის კომპარტიამ, ქვეყნის ხელმძღვანელობამ მაო ძედუნის მოღვაწეობა დადებითად (70%) შეაფასა, შეცდომები (30%) კი დაგმო.

მაო ძედუნის უზარმაზარი პორტრეტი ამშვენებს ქვეყნის დედაქალაქის მთავარ მოედანს. მაო ძედუნის კრიტიკა, მისი ეპოქის ლანძღვა-გინება მიუღებელია. ჩინეთი ახალ ქვეყანას აშენებს, ძველის კრიტიკის გარეშე. ის წინ იყურება და არა უკან.

საქართველოში, ისე, როგორც რუსეთის ლიბერალებში, სტალინის ხსენება დადებით კონტექსტში მიუღებელია და თუ ვინმე ახსენებს, უმალ შერისხავენ – სტალინი საბჭოთა კავშირის მეთაური იყო და მას საქართველოსთვის არაფერი გაუკეთებიაო.

ურწმუნო, ანტისტალინისტების დარწმუნება საწინააღმდეგოში, შეუძლებელია, მაგრამ თუ ვინმეს მოუნდება სტალინის მიერ გაკეთებული საქმეების გაცნობა, ვურჩევ, წაიკითხოს გრიგოლ ონიანის მიერ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ გამოქვეყნებული მასალები, რომლებშიც ზედმიწევნით ზუსტად არის ჩამოთვლილი სტალინის ღვაწლის თაობაზე.

ჩემის მხრივ დავამატებ – რომ არა სტალინი, არ მოხდებოდა დაქუცმაცებული საქართველოს გაერთიანება; მის შემადგენლობაში აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის შეყვანა; საქართველოს ფარგლებში აჭარის განმტკიცება. უდავოდ შემედავებიან – მაშ, ეროვნულმა ხელისუფლებამ რა გააკეთაო?

**დავესესხები ისევ გრიგოლ ონიანს, რომელმაც სულ ახლახან გამოაქვეყნა მენშევიკური ხელისუფლების პერიოდის ქართველი მწერლის რევაზ გაბაშვილის წიგნიდან „რაც მახსოვს“ ნაწყვეტები: „სოციალიზმსა და რევოლუციაზე შეშლილი საქართველოს მთავრობა, სრულიად უგულებელყოფდა ეროვნულ საკითხებს და ძალად იწვევდა რევოლუციას, როცა არავინ წინააღმდეგობას არ უწევდა. მათი ენერგია იხარჯებოდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების წინააღმდეგ და ისეთი დამანგრეველი, მძარცველური სულისკვეთება შერჩათ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგაც – ბოლომდე. რევოლუციონური კი არა, ჩვენდა სამარცხვინოდ, ყაჩაღურ-რევოლუციონური ფსიქოზი არასოდეს განელებიათ“.**

**ბატონი ომარ ხახაშვილი ლოგიკურად, ფაქტებზე დაყრდნობით უხსნის საზოგადოებას, რა განსაცდელში ჩააგდო ქვეყანა ილიას გზიდან გადახვევამ. ჩემის მხრივ დავამატებ, რომ დასავლეთის მიერ რუსეთის სათათბიროში (დუმაში) საჩხვლეტ სადგისად გამოყენებული საქართველო, უკომპასო ნავივით დაფარფატებს ბობოქარ პოლიტიკურ ოკეანეში და იმავე დასავლეთის შიშით, მოახლოებული რუსული გემის საშველად გამოწვდილ ხელს ლანძღვით ეგებება, რაც ქვეყნის პოლიტიკის საზრიანობაზე სულაც არ მეტყველებს.**



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

# ისრაელსა და ღაზას შორის ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმება ამოქმედდა



**ისრაელსა და ღაზის სექტორს ორდღიანი ბრძოლების შემდეგ, მათ შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება ამოქმედდა. ამის შესახებ ეგვიპტისა და გაეროს წარმომადგენლები, ასევე „ისლამური ჯიჰადის" მებრძოლები აცხადებენ.**

დაპირისპირება მას შემდეგ დაიწყო, რაც ისრაელის საჰაერო შეტევის შედეგად პალესტინის „ისლამური ჯიჰადის" მეთაური დაიღუპა.

ისრაელს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ცნობა ჯერ არ დაუდასტურებია.

ღაზის სექტორში ისრაელის მხრიდან ორდღიანი ავიაიერიშების შედეგად სულ ცოტა 32 პალესტინელი დაიღუპა, 63-მა კი სხვადასხვა სახის დაზიანება და სტრესი მიიღო. 12 ნოემბერს ისრაელმა ღაზის სექტორში მორიგი სპეცოპერაცია ჩაატარა, რომლის დროსაც „ისლამური ჯიჰადის" საველე მეთაური ბაჰა აბუ ალ-ატა დაიღუპა.

# ტრამპი აცხადებს, რომ ერდოღანის თაყვანისმცემელია

**აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა თურქეთის ლიდერთან რეჯეფ თაიფ ერდოღანთან თეთრ სახლში გამართულ მოლაპარაკებებს ნაყოფიერი უწოდა. ამის შესახებ დონალდ ტრამპმა ერდოღანთან ერთად გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

ტრამპმა თურქ კოლეგას კარგი მეგობარი უწოდა და აღნიშნა, რომ მათ როგორც ქვეყნების დონეზე, ისე პირადად შესანიშნავი ურთიერთობები აქვთ. ტრამპის თქმით, ის პრეზიდენტ ერდოღანის თაყვანისმცემელია. აშშ-ის ლიდერის განცხადებით, შეხვედრაზე განხილვის ერთ-ერთი თემა სირიის საკითხი იყო. მისი თქმით, რეგიონში ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება სრულდება.

**„დღეს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება სრულდება და მე მინდა, მადლობა გადავუხადო პრეზიდენტს პარტნიორობისა და თანამშრომლობისთვის უფრო მეტად სტაბილური, მშვიდობიანი და განვითარებული ახლო აღმოსავლეთის აშენებისკენ მიმართულ ჩვენს მუშაობაში. ჩვენ დავარწმუნეთ ერთმანეთი, რომ თურქეთი ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას გააგრძელებს. მე პრეზიდენტის დიდი თაყვანისმცემელი ვარ, უნდა მეთქვა ეს თქვენთვის", —** განაცხადა ტრამპმა.

თავის მხრივ, ერდოღანმა აღნიშნა, რომ აშშ-ის შუამავლობით მიღწეულ შეთანხმებებს ასრულებს, თუმცა აღნიშნა, რომ რეგიონში კვლავ რჩებიან ქურთი მებრძოლები, რის მაგალითადაც ბოლო დროს თურქეთ-სირიის საზღვრის სიახლოვეს თავდასხმები დაასახელა.

გამოსვლისას ტრამპმა თურქეთის მიერ რუსული ანტისარაკეტო სისტემების, ეს-400-ების შეძენის საკითხზეც ისაუბრა.



**„თურქეთის მიერ თანამედროვე რუსული ტექნიკის შეძენა, როგორიცაა ეს-400, ჩვენთვის სერიოზული გამოწვევებს ქმნის და ჩვენ მუდამ ვლაპარაკობთ ამაზე. ჩვენ შევეხეთ ამ საკითხს დღეს და განვიხილავთ მას მომავალშიც. ვიმედოვნებ, მომავალში ამ სიტუაციის დარეგულირებას შევძლებთ", —** განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა.

თავის მხრივ, რეჯეფ თაიფ ერდოღანმა აღნიშნა, რომ შესაბამისი სიტუაციის შემთხვევაში, თურქეთი მზად არის, „პეტრიოტის" სისტემები შეიძინოს. ერდოღანმა ასევე იმედი გამოთქვა, რომ ვაშინგტონი ანკარას აშშ-ში მცხოვრებ მუსლიმ მქადაგებელ ფეთჰულა გიულენს გადასცემს, რომელსაც თურქეთის 2016 წლის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ორგანიზატორად მიიჩნევს.

**თურქეთის პრეზიდენტმა ასევე ისაუბრა წარმომადგენელთა პალატის მიერ მიღებულ რეზოლუციაზე, რომელიც 1915 წელს ოსმალეთის იმპერიის მიერ სომეხთა გენოციდს აღიარებს. როგორც ერდოღანმა აღნიშნა, ეს რეზოლუცია ჩრდილს ფენს აშშ-თურქეთის ურთიერთობებს. მისი თქმით, საუკუნის წარსულ მოვლენებზე ისტორიკოსებმა უნდა იმსჯელონ და არა პოლიტიკოსებმა. ერდოღანმა იმედი გამოთქვა, რომ სენატი აღნიშნულ დოკუმენტს მხარს არ დაუჭერს.**

# რუსეთი ევროკავშირის სტრატეგიული პრობლემაა

**ევროპული საბჭოს პრეზიდენტი დონალდ ტუსკი რუსეთს ევროკავშირის სტრატეგიულ პრობლემას უწოდებს. ამის შესახებ ტუსკმა ბრიუგეში, ევროპის კოლეჯში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.**



ევროპელი მაღალჩინოსნის თქმით, ევროპული საბჭოს პრეზიდენტად მუშაობისას მას თითქმის ყოველკვირეულად უწევდა სხვებისთვის შეეხსენებინა, რომ რუსეთი ევროკავშირის არა „სტრატეგიული პარტნიორი", არამედ „სტრატეგიული პრობლემაა". როგორც ტუსკმა აღნიშნა, მას ეჭვი არ ეპარება, რომ ვლადიმერ პუტინის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს არა მხოლოდ ყოფილ საბჭოთა ტერიტორიებზე კონტროლის აღდგენა, არამედ ევროკავშირის დასუსტება შიდა უთანხმოებების პროვოცირებით.

**„ერთიანობაში ჩემი ვარჯიშები პრაქტიკულად პირველივე დღიდან დაიწყო. საქმე ეხებოდა კრემლის აგრესიულ პოლიტიკას. მე ვიყავი და ახლაც ვარ დარწმუნებული, რომ ამ თამაშში ფსონზე არა მხოლოდ დამოუკიდებელი უკრაინის მომავალი და ცენტრალური ევროპის, მათ შორის ჩემი ქვეყნის, უსაფრთხოება დგას, არამედ ევროპის, როგორც პოლიტიკური გაერთიანების სუვერენიტეტიც. მე ეჭვი არ მეპარებოდა, რომ პუტინის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენდა არა მხოლოდ ყოფილ საბჭოთა ტერიტორიებზე კონტროლის აღდგენა, არამედ ევროკავშირის სისტემატურად დასუსტება შიდა უთანხმოებების პროვოცირებით. მე მიწევდა თითქმის ყოველკვირეულად საჯაროდ სხვებისთვის შეხსენება, რომ რუსეთი ჩვენთვის არა „სტრატეგიული პარტნიორია", არამედ „სტრატეგიული პრობლემაა". მე „მონომანიც" კი შემარქვეს ერთ საკითხზე ასე ფოკუსირებისთვის. თუმცა ამას მოჰყვა შედეგი. ჩვენ შევინარჩუნეთ ერთიანობა, განსაკუთრებით სანქციების მხრივ მთელი ჩემი ვადის განმავლობაში", —** განაცხადა დონალდ ტუსკმა. შეგახსენებთ, ევროპული საბჭოს პრეზიდენტის თანამდებობაზე დონალდ ტუსკს ვადა ნოემბრის ბოლოს ეწურება.



# ჩინელებს აფხაზეთში ელექტრომობილების წარმოების დაწყება სურთ

**ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო საბაჟო კომიტეტში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციასთან შეხვედრა გაიმართა. აფხაზური მედიის ინფორმაციით, ამ დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ კომპანია China UNiCOM-ის მთავარი ინჟინერი ლონგ ვეიბო, ეკონომიკური განვითარების ჩინურ-აზიური ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე ლიუ ია ჯუნი, „აფხაზეთის რესპუბლიკის საპატიო კონსული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში" გე ჩჟილი და „აფხაზეთის რესპუბლიკის საპატიო კონსული რუსეთის ვოლგისპირეთის ფედერალურ ოლქში" ვ. ლიტვინჩუკი.**

ადგილობრივი მედიის ცნობით, შეხვედრაზე განხილული იყო **„ორ ქვეყანას შორის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სფეროში თანამშრომლობის საკითხთა ფართო სპექტრი, მათ შორის სპეციალური ეკონომიკური ზონის შექმნა მობილური ტელეფონების ამწყობი საწარმოების დაფუძნებაზე მიმართული სხვადასხვა პროექტების რეალიზების მიზნით, ასევე ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ელექტრომობილების ასაწყობად, რომელთა რეალიზება შიდა ბაზარზე, ისე ე.წ. რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ შეიძლება".**

მანამდე ჩინური დელეგაცია დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა დაურ კოვემ მიიღო. მან მაღალი დაინტერესება გამოხატა ორმხრივი თანამშრომლობის განვითარების მიმართ და აღნიშნა, რომ „აფხაზეთს ამ მიმართულებით უაღრესად დიდი პოტენციალი გააჩნია". როგორც „აქცენტს" საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ჩინეთი მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას.

**„აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შედგა კომუნიკაცია საქართველოში ჩინეთის საელჩოსთან. ჩინეთის მხარემ კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა და პატივისცემა", —** განუცხადეს „აქცენტს" საგარეო უწყებაში.

# 5.4 მილიარდი ყალბი ანგარიში

**Facebook-მა მიმდინარე წელს 5,4 მილიარდი ყალბი ანგარიში დახურა, თუმცა მილიონობით მსგავსი ანგარიში ისევ რჩება ქსელში.**

კომპანიის ცნობით, შედარებისთვის მათ 2018 წელს 3.3 მილიარდი ყალბი ანგარიში დახურეს. სოციალური ქსელის განცხადებით, მათი ყოველთვიური მომხმარებლების თითქმის 5% ყალბ ანგარიშებს მოიცავს.

Facebook-ის ეს განცხადება იმის მაგალითია, თუ რამხელა პრობლემა არსებობს ყალბ ანგარიშებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კი იმ ფონზე, რომ აშშ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადება. 22 ოქტომბერს Facebook-ის დამფუძნებელმა მარკ ცუკერბერგმა განაცხადა, რომ რუსეთი, ირანი და ჩინეთი აშშ-ის მომავალ არჩევნებში ჩარევას ცდილობენ.

2016 წლის დეკემბერში აშშ-ის სპეცსამსახურებმა მოამზადეს სპეციალური ანგარიში ამერიკულ არჩევნებში რუსეთის ჩარევის შესახებ, რის შემდეგაც კონგრესის სამმა კომიტეტმა და სპეციალურმა პროკურორმა, **FBI**-ის ყოფილმა დირექტორმა რობერტ მიულერმა საქმის გამოძიება დაიწყეს. ამ საქმეში ტრამპის წინასაარჩევნო შტაბის ყოფილი უფროსი პოლ მანაფორტი და ტრამპის ყოფილი მრჩეველი მაიკლ ფლინი ფიგურირებენ.

ეშმაკს არ სძინავს



## ტრავმირებული ტოჩინოშინი კიუშუ ბაშოდან მოიხსნა

**ქართველი სუმოისტი ლევან გორგაძე წლის დასკვნით სუპერტურნირს ნაადრევად გამოეთიშა, რისი მიზეზიც მორიგი ტრავმა გახდა.**

შეგახსენებთ, რომ ტოჩინოშინმა ნეკნი კიუშუ ბაშოს მეოთხე ორთაბრძოლისას დაიზიანა, როდესაც ტაკარაფუჯის ეფექტური ილეთით სძლია და თანაბარ ბალანსზე (2 მოგება, 2 მარცხი) გავიდა, თუმცა, ეს წარმატება ძალიან ძვირი დაუჯდა.

როგორც ირკვევა, ლევანი არა უშუალოდ დაცემის მომენტში, არამედ ილეთის სტარტზე დაშავებულა, როდესაც იაპონელი იშვიათ ილეთზე (კუბიჰინერი) წამოიღო...

ქართველი სეკიტორი კიუშუ ბაშოზე ოძეკის ტიტულის დასაბრუნებლად იბრძოდა (საამისოდ 10 გამარჯვება სჭირდებოდა), ახლა კი ურთულეს ვითარებაში აღმოჩნდა.

გორგაძე არათუ ჩემპიონი (ოძეკებს სწორედ ასე მოიხსენიებენ) ვეღარ გახდება, არამედ სეკივაკეს ტიტულსაც დაკარგავს და რიგით მაეგაშირად დაქვეითდება.

ამგვარად, ყველაზე წარმატებულმა ქართველმა სუმოისტმა თითქმის ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოს, თუმცა, მომრავლებული ტრავმები ძველ დონეზე დაბრუნების საშუალებას რამდენად მისცემს, ძნელი სათქმელია.

**კობა კობახიძე**

ლეგიონერი

## გიოს წვლილი



**გიორგი შერმადინის „იბეროსტარ ტენერიფემ“ ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე სეზონში ზედიზედ მეხუთე გამარჯვება მოიპოვა. ესპანელებმა თურქულ „გაზიანთეფთან“ საშინაო შეხვედრაში დიდი ბრძოლა გადაიტანეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც მიაღწიეს მიზანს.**

დასკვნით, მეოთხე პერიოდში კუნძულელებმა ჩინებულად ითამაშეს, 7-ქულიანი ჩამორჩენა აღმოფხვრეს და 69:67 მოიგეს.

რაც შეეხება უშუალოდ შერმადინს, ქართველმა კალათბურთელმა 23 წუთში 13 ქულა, 6 მოხსნა და 1 პასი მიითვალა, 8-დან 4 ორქულიანი და 6-დან 5 საჯარიმო ჩააგდო, ხოლო მისმა მარგი ქმედების კოეფიციენტმა 14 შეადგინა.

„იბეროსტარ ტენერიფე“ C ჯგუფს უდანაკარგოდ და ერთპიროვნულად ლიდერობს, მეექვსე ტურში კი 19 ნოემბერს ლატვიაში „რიგას“ ესტუმრება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ტოკიო-2020

## თაიგულებიც დაამშვენებენ

**ტოკიოს ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა ყვავილების თაიგულის დიზაინი წარმოადგინა, რომლებსაც ოლიმპიური და პარალიმპიური თამაშების გამარჯვებულებსა და პრიზიორებს მედლებთან ერთად გადასცემენ.**

საგულისხმოა, რომ 2020 წლის თამაშებისთვის განკუთვნილი ყვავილებს 2011 წელს დამანგრეველი ცუნამისა და მიწისძვრის შედეგად დაზარალებულ რეგიონებში მოიყვანენ.



**„გვსურს, ჩვენი მადლიერება ამგვარად გამოვხატოთ იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც სიკეთე გამოავლინეს და იაპონიას დაეხმარნენ. ოლიმპიური თამაშების დედაქალაქში დღეში თაიგულების რამდენჯერმე გამოგზავნით დამატებითი სტიმული მიეცემა მიიაგის, ივატესა და ფუკუშიმას პრეფექტურების ეკონომიკის განვითარებას,“** — ვკითხულობთ ტოკიო-2020-ის საორგანიზაციო კომიტეტის პრეს-რელიზში.

აღსანიშნავია, რომ თაიგულებზე მიმაგრებული იქნება ოლიმპიური და პარალიმპიური თამაშების თილისმები Miraitowa (ოლიმპიელთათვის) და Someity (პარალიმპიელთათვის).

**ბექან დოლიძე**

რაგბი

## ქართველებს ენდობიან

**ქართველ მსაჯთა ბრიგადამ დღეს გეზი ინგლისისკენ აიღო, სადაც ხვალ ჩელენჯ ქაფის ჯგუფური ეტაპის პირველ ტურში „ლესთერ თაიგერზისა“ და „პოს“ შეხვედრას, ერთი კვირის შემდეგ კი „უოსპსისა“ და „აჟენის“ მატჩს განსჯის.**

ინგლისურ-ფრანგულ დაპირისპირებებში მთავარი მსაჯი ნიკა ამაშუკელი იქნება, რომელსაც კიდეებიდან შოთა თევზაძე და საბა აბულაშვილი გაუწევენ ასისტენტობას.

მანამდე, 2 ნოემბერს, თევზაძემ რაგბი ევროპის „ალაფაზე“ პოლონეთი - გერმანია (15:35) იმსაჯა. მას კიდეებიდან აბულაშვილი და შოთა ცაგარეიშვილი ეხმარებოდნენ. ქართველმა რეფერიმ უმაღლესი შეფასება მიიღო და ახლა დანიშვნებს რაგბი ევროპის ჩემპიონატზე ელოდება:



**„რაგბი ევროპის მსაჯთა კორპუსს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს — პატრიკ რობენი ჟოელ დუმემ შეცვალა. პოლონეთ-გერმანიის მატჩზე დანიშვნისას მან თქვა: „ვიცი, ამ თამაშის დონე თქვენსას არ შეესაბამება, მაგრამ ამ პერიოდში სხვა შეხვედრა არ გვაქვს და მსურს, თქვენი მუშაობა პირადად ვიხილოო“. ჩვენ ბოლო დროს უმაღლეს დონეზე მუშაობას მივეჩვიეთ და ამ თამაშს თავი კარგად გავართვით. უმაღლესი შეფასება დავიმსახურეთ და გაჩნდა წინაპირობა, რომ იანვარში რაგბი ევროპის ჩემპიონატზე დამნიშნონ“.**

მანამდე ის ნიკა ამაშუკელთან ერთად გაცვლითი პროგრამით უელსში იმყოფებოდა. მათ ადგილობრივი უმაღლესი ლიგის თითო-თითო მატჩი იმსაჯეს. თევზაძე ამბობს, რომ მსგავსი გაცვლითი პროგრამები განვითარებისთვის მნიშვნელოვანია:

**„ჩვენსა და იქაურ რაგბის კავშირს შორის კარგი ურთიერთობა დამყარდა. მე და ნიკა ბრიტანეთში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ვიყავით. მსგავსი პროგრამები მნიშვნელოვანია, რადგან ყველა ქვეყნის ჩემპიონატს თავისი სპეციფიკა აქვს და რაც უფრო მეტ გამოცდილებას შეიძენ, მით უფრო მაღალ დონეზე ახვალ“.**

საკლუბო მასტშაბით ქართველმა არბიტრებმა უკვე ერთი საფეხურით მაღლა აიწიეს, რაზეც ჩელენჯ ქაფის მატჩების მსაჯობა მეტყველებს. თევზაძეს ამ რანგის საკლუბო ტურნირზე აქამდე არასდროს უმუშავია:

**„შარშან კონტინენტის ფარს ვმსაჯობდი, ამჯერად კი უფრო მაღალ ნიშნულზე მომიწევს მუშაობა. ქართული ბრიგადა ამ დონის შეხვედრაზე პირველად იქნება წარმოდგენილი. ვფიქრობ, რთული ბრძოლები იქნება, თუმცა, დარწმუნებული ვარ, თავს კარგად გავართმევთ. განსაკუთრებით საინტერესო იქნება „უოსპსისა“ და „აჟენის“ დაპირისპირება. ორივე გუნდს ქართველი ბურჯი ჰყავს, ყველამ კარგად იცის, ისინი როგორ არიან მომზადებულნი და დიდ ჯახს ველოდებით. ასევე ველოდები, რომ თუ ამჯერად არა, მომდევნო სეზონში მაინც, ჩელენჯ ქაფზე ცენტრში დანიშვნას მეც აუცილებლად მივიღებ და უფრო მეტი ქართველი მსაჯი წარვადგენთ ჩვენს ქვეყანას ელიტაში.“**

**კობა კობახიძე**

ევრო — 2020

## ღირსების მატჩი

**საქართველოს ნაკრებმა გერმანიის ქალაქ ბად ფორისჰოფენში შეკრება დაასრულა. საწვრთნელ პროცესში 24 ფეხბურთელი სრული დატვირთვით მონაწილეობდა.**



„ჯვაროსნები“ შვეიცარიის ქალაქ სენტ გალენში გუშინ ჩავიდნენ და იქვე ბოლო ვარჯიში ჩაატარეს, ხოლო მანამდე მათმა თავკაცმა ვლადიმირ ვაისმა წინასამატჩო პრესკონფერენცია გამართა.

შეგახსენებთ, რომ შვეიცარია — საქართველოს შესარჩევი შეხვედრა დღეს სენტ გალენში თბილისის დროით 23:45 საათზე დაიწყება.

დავძენთ, რომ ტრავმების გამო მასპინძლებს მთელი რიგი ლიდერები დააკლდებათ.

**გიორგი შოთაძე**

ჩოგბურთი

## ნადალის სასწაული



**ლონდონში მიმდინარე წლის შემაჯამებელ ტურნირზე რაფაელ ნადალმა A ჯგუფში დანიილ მედვედევი ურთულეს შეხვედრაში დაამარცხა.**

პირველი სეტი რუსმა ჩოგბურთელმა ტაი-ბრეიკზე 7:6 მოიგო და დაწინაურდა, მაგრამ შემდეგ ესპანელმა ადვილად მოახერხა მეორე პარტიაში გამარჯვება — 6:3.

საქმე გადამწყვეტ სეტზე მიდგა, სადაც მედვედევი 5:1 გაიქრა წინ და თამაშიც პრაქტიკულად მოგებული ჰქონდა. მიუხედავად ოთხი მატჩ-პოინტისა, ჩრდილოელმა უპირატესობა ვერ შეინარჩუნა, ხოლო რაფამ მცირე სასწაული შემოგვთავაზა და მატჩი ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა, სადაც 7:6 იმარჯვა.

ასე რომ, ნადალმა ჯგუფში პირველი გამარჯვება იზეიმა, გადამწყვეტ შეხვედრას კი დღეს სტეფანოს ციციპასთან ჩაატარებს.

**მანუჩარ გიორგაძე**

# 81 წლის ლაგოდეხელმა ფერმერმა 20 ტონა ბატატის მოსავალი მიიღო

**საქართველოში ბატატის (ტკბილი კარტოფილის) პირველი მწარმოებელი შოთა ერიაშვილი, მოსავალს აბინავებს. ბოსტნეულის შესანახად სპეციალური სათავსო არა აქვს, ამიტომ ცდილობს, არსებულ სივრცეში ისეთი ტემპერატურული რეჟიმი შექმნას, რომ პროდუქტი არ გაუფუჭდეს. როგორ მოიყვანა მოსავალი, რა სიძნელეებს წააწყდა მუშაობის დროს და რამდენ კილოგრამს იწონის ყველაზე დიდი ბოლქვი?**



**„პირველად რომ ამოვიღეთ მიწიდან, ყველაზე დიდი ბატატი იყო 2 კილო და 550 გრ, მაგრამ გარეცხვისა და გაშრობის შემდეგ წონაში დაიკლო და დღეს არის 2 კილო და 360 გრ“**, – ამბობს კახელი ფერმერი შოთა ერიაშვილი, რომელიც ორ თვეში 82 წლის გახდება.

ის საქართველოში პირველია, ვინც ბატატის მოყვანა დაიწყო. დავინტერესდით, როგორი მოსავალი მიიღო, რა პრობლემებს შეხვდა მუშაობის დროს და როგორია მისი სამომავლო გეგმები.

შოთა ერიაშვილი ლაგოდეხში ცხოვრობს, პროფესიით ბიოლოგია და მიწის შედარებით დიდ ფართობზე ბოსტნეული, სახელდობრ ბატატი, წელს პირველად მოიყვანა. 20 ტონამდე მოსავალი აიღო. ამბობს, რომ, წინასწარი გათვლებით, გაცილებით ბევრს ელოდა, მაგრამ იმის გამო, რომ 2019 წლის ზაფხული ბოლო პერიოდის ყველაზე გვალვიანი წელი აღმოჩნდა, მოსავლის რაოდენობა თითქმის განახევრდა. შოთა ერიაშვილი სხვა მიზეზებზეც ლაპარაკობს, რის გამოც ისეთი მოსავალი ვერ მიიღო, როგორიც სურდა. მიუხედავად ამისა, გვეუბნება, რომ უკმაყოფილო არ არის:

**„რა თქმა უნდა, საერთო ჯამში, ველოდებოდით მეტს, მაგრამ ამას აქვს მიზეზები. ნერგის გამოყვანა დავაგვიანეთ. ნერგი რომ უკვე 10 აპრილს უნდა დაგვერგო, მოგვიწია 18 მაისს დარგვა, იმიტომ რომ სათბურის აშენებაც დაგვიანდა. ჩვენ რომ დარგვა 10 აპრილისთვის დაგვეწყო, მაისში უკვე მოვრჩებოდით ყველანაირ სამუშაოებს. თავისთავად დაგვიანდა მოსავლის აღებაც. მოსავალი, წესით, სექტემბერში უნდა მიმეღო, უკვე ნოემბერია და ახლა ვიღებთ. მეორე პრობლემა კი ის გახლავთ, რომ მთელი წლის განმავლობაში ძალიან დიდი გვალვა იყო და წყალი არ მოხვედრია ნერგს. მიუხედავად ამისა, საერთო ჯამში, 20 ტონამდე ბატატი ავიღეთ. გვალვა რომ არ ყოფილიყო და ყველა პირობები გვქონოდა და ადრეც დაგვერგა, 30 ტონას თავისუფლად მივიღებდით. წელს 10 ტონაზე მეტი დავკარგეთ“.**

ფერმერი ახლა ყველაზე მეტად იმაზე ფიქრობს, როგორ შეინახოს მოსავალი, რათა არ გაფუჭდეს. ბატატი კარტოფილისებრთა ჯგუფის ბოსტნეული მცენარეა და თუკი შენახვის დროს ტემპერატურული რეჟიმი 13-დან 15 გრადუსამდე არ იქნა დაცული, შეიძლება სოკო გაუჩნდეს და ღივები გამოიტანოს. როგორც ფერმერი გვეუბნება, მოსავლის მცირე ნაწილი გაყიდა, დიდ ნაწილს საცხოვრებელ სახლსა და იმ სათბურში ინახავს, სადაც ნერგები გამოიყვანა. მომავლისთვის საკუთარი საწყობის აშენებას აპირებს, მაგრამ ახლა არსებულ პირობებში ცდილობს ბატატის დასაწყობებას.

შოთა ერიაშვილი ამბობს, რომ ბოსტნეულის გასაღების პრობლემა არა აქვს, რადგან თბილისში ერთ-ერთ მსხვილ სუპერმარკეტთან შეთანხმებულია, შესანახი სივრცე კი სწორედ იმისთვის სჭირდება, რომ პროდუქტი რეალიზატორს პერიოდულად, მოთხოვნის შესაბამისად, მთელი წლის განმავლობაში მიაწოდოს.

**„აგროჰაბს“ უნდა, რომ მთელი მოსავალი მან გაყიდოს, მაგრამ ჯერჯერობით 2 მაღაზია აქვს და შეიძლება ამ რაოდენობას (20 ტონა) ვერ მოერიოს. რეალიზაციის პროცესში დიდი ქსელებიც არ გვინდა ჩავრთოთ, რადგან ყველა ქსელში რომ გაანაწილონ, მათ ეს რაოდენობა მთელი წელი არ ეყოფათ. ვნახოთ, თუ „აგროჰაბი“ ვერ აითვისებს, შემდეგ სხვაგან გავყიდით. ამის პრობლემა ამ ეტაპზე არ მაქვს“**, – გვითხრა შოთა ერიაშვილმა.

მართალია, ბატატი კარტოფილისებრთა ჯგუფის ბოსტნეულია, მაგრამ, როგორც სპეციალისტები ამბობენ, მას საერთო არაფერი აქვს კარტოფილთან. ის ტკბილია, გამოიყენება სხვადასხვა კერძის მოსამზადებლად, იჭმევა როგორც უმი, ისე შემწვარი, მოხარშული და გამომცხვარიც კი. ბატატის სამშობლოდ ითვლება კოლუმბია და პერუ, თუმცა ახლა ეს ბოსტნეული ლაგოდეხელ შოთა ერიაშვილსაც მოჰყავს.

მხცოვანი ფერმერი გვეუბნება, რომ მომავალ წელს სხვა იშვიათი სახეობის ბოსტნეულის მოყვანასაც აპირებს.

**გიორგი ალადაშვილი**

# დარღვევები საზოგადოებრივ კვების ობიექტებში

**სურსათის ეროვნული სააგენტო მთელი ქვეყნის მასშტაბით ამოწმებს კაფე-ბარებისა და რესტორნების, აგრეთვე სკოლების, საბავშვო ბაღების, ბავშვთა სკოლა-პანსიონების კვების ბლოკებს.**

სააგენტოს ინსპექტირების ჯგუფებმა მიმდინარე წლის ოქტომბერსა და ნოემბერში 976 დოკუმენტური შემოწმება და 229 ინსპექტირება განახორციელეს. სააგენტოს ცნობით, გამოვლენილი კრიტიკული შეუსაბამობების გამო, 45 ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა და შეუჩერდა საწარმოო პროცესი.

მათ შორის განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობა და დარღვევები გამოვლინდა ქვემო ქართლის, აჭარის, გურიისა და სამცხე-ჯავახეთის ბავშვთა სკოლა-პანსიონების კვების ბლოკებში.

კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები გატარდა სააგენტოს მიერ გაურკვეველი წარმომავლობის ხორცის და ვადაგასული სურსათის განთავსების ფაქტებთან დაკავშირებით, კერძოდ, სურსათი დაილუქა და მის განადგურებაზე ზედამხედველობას სურსათის ეროვნული სააგენტო განახორციელებს.

ბიზნესოპერატორებს, რომლებმაც სააგენტოს სპეციალისტების მიერ მიცემული მითითებები გაითვალისწინეს, საწარმოო პროცესი უკვე აღუდგათ.

## სანთელი

**Дорогие Дмитрий и Гия Махатадзе,**
**Ваши друзья и коллеги из Страховой компании A-Qroup и клиники MediClub Баку глубоко опечалены известием о смерти Вашего отца, Г-на**

## Виктора Махатадзе.

**Это очень грустное и тяжелое для Вас время. Скорбим и помним вместе с вами.**

**A-Qroup и MediClub Баку.**



სადაზღვევო კომპანია „A-Qroup“ და კლინიკების ქსელი „MediClub Баку“-ს თანამშრომლები გულითადად თანაუგრძნობენ მწუხარებაში მყოფ მეგობარებსა და კოლეგებს, ბატონებს დიმიტრი და გია მახათაძეებს მამის, ღირსეული პიროვნების, დამსახურებული ექიმის

## ვიქტორ მახათაძის

გარდაცვალების გამო.

---



გამოვხატავთ ღრმა მწუხარებას და თანავუგრძნობთ ჩვენს უახლოეს მეგობარს გიზო ბაქანიძეს და მის ოჯახს უსაყვარლესი, უნიჭიერესი და უკეთილშობილესი შვილის, სამი შვილის მამის

## სანდროს

უეცრად გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი 15 XI, 17 სთ, ფალიაშვილის ქ. №64, გამოსვენება 16 XI, 15 საათზე სამების ეკლესიიდან (ყოფილი სტუდქალაქის ტერიტორია).

მეგობრები: გივი აბდუშელიშვილი, გივი აბზიანიძე, ვალერი ასათიანი, მერაბ ახობაძე, ჯემალ ბერიძე, გივი ბილანიშვილი, ამირან ბოდოკია, თამაზ გაბუნია, კობა გიგაური, ბაკურ გულუა, ალექსანდრე დიდებულიძე, ლია დათებაშვილი, გურამ დგებუაძე, თემურ თოფურიძე, სულიკო თაბაგარი, ომარ კაჭარავა, ალეკო კობაიძე, ჯემალ კუხალაშვილი, მურმან მაჭარაშვილი, ომარ ჟღენტი, გიორგი სალუქვაძე, გენრი ფრანგულაიშვილი, ვალერი შამათავა, გრიგოლ შონია, ვიტალი ღლონტი, გიორგი ცინცაძე, რამაზ ხუროძე, გივი ჯაფარიძე, ვანო ჯეჯელავა.

---



ანზორ, ემზარ, რევაზ, ტიტიკო კვარაცხელიები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ დეიდა, ღვაწლმოსილი პედაგოგი

## დუშა სამსონის ასული ღვინჯილია-აფაქიძე

პანაშვიდი 15, 16 XI, 15 საათიდან, გამოსვენება 17 XI, 14 საათზე.

მისამართი: დიღომი 7 (დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის ტერიტორია. გრიგოლ ფერაძის ქუჩის №20-თან) ჩოხელის ქუჩა №2.

---

თენგიზ ქავთარაძე სამძიმარს უცხადებს თორნიკე აფაქიძეს დედის

## დუშა სამსონის ასული ღვინჯილია-აფაქიძის

გარდაცვალების გამო

მეგობრები ნოდარ ჭითანავა, რაულ ჯახია, ჯემალ შელია, დავით ქანთარია სამძიმარს უცხადებენ თორნიკე აფაქიძეს დედის

## დუშა ღვინჯილიას

გარდაცვალების გამო.

---

თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი თანაუგრძნობს ქალბატონებს ლალი და ნანა კინწურაშვილებს დედის, ქალბატონ

## ვენერა რუხაძის

გარდაცვალების გამო
პანაშვიდი 14, 15 XI, გამოსვენება: 16 XI, 14 სთ.
მისამართი: ვაჟა ფშაველას გამზ. 36, მე-6 სადარბაზო, მე-2 სართული, ბ. 97

# კლიმატის ცვლილების გამო ბავშვების ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება

**გლობალური კვლევის თანახმად, დღეს დაბადებულ ბავშვებს ჯანმრთელობის მხრივ განსაკუთრებული საფრთხეები ემუქრებათ და ეს კლიმატის ცვლილებით არის განპირობებული. კვლევის შესახებ ინფორმაცია ჟურნალ „ლანცეტში“ გამოქვეყნდა.**

ჰაერის ტემპერატურის მკვეთრი დათბობის გამო, მატულობს შიმშილის, ინფექციური დაავადებების, წყალდიდობების და გაუსაძლისი სიცხის რისკი. ასეთ პირობებში გაზრდილ ბავშვებს კი სხვადასხვა სახის დაავადება ემუქრებათ, მათ შორის ისეთიც, რომელიც მათ ჯანმრთელობაზე სამუდამო კვალს დატოვებს.

ყოველწლიური კვლევის თანახმად, კლიმატის ცვლილებამ უკვე მნიშვნელოვანი ზიანი მოუტანა დედამიწის მოსახლეობას. ერთ-ერთი მთავარი საფრთხე ჰაერის დაბინძურებაა.



მკვლევარები გაფრთხილებას ავრცელებენ: თუ მსოფლიო არაფერს მოიმოქმედებს კლიმატის ცვლილებასთან საბრძოლველად, შედეგად დაავადებულ ახალ თაობას მივიღებთ.

„ლანცეტში“ გამოქვეყნებული „ჯანმრთელობისა და კლიმატის ცვლილების კვლევის“ ხელმძღვანელი ნიკ უატსი აცხადებს:

**„ბავშვები განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფია. მათი ორგანიზმი და იმუნური სისტემა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია და მათზე განსაკუთრებით მავნე ზეგავლენას ახდენს გარემოს დამაბინძურებლები. თუკი ყველა ქვეყანა დაუყოვნებლივ ზომებს არ მიიღებს და სათბური აირების გაფრქვევას არ შეამცირებს, მნიშვნელოვნად დაიკლებს ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა. გარდა ამისა, კლიმატის ცვლილება მთელი ახალი თაობის ჯანმრთელობის მდგომარეობას განაპირობებს“.**

სტატიის თანახმად, ახლა დედამიწაზე 7.5 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს და საჭიროა თითოეული მათგანის აქტიური მუშაობა იმისათვის, რომ კლიმატის ცვლილებამ ჩვენი შვილების ჯანმრთელობა სამუდამოდ არ შეცვალოს.

კლიმატის ცვლილების საფრთხეების შესახებ გამოქვეყნებული კვლევა 35 დაწესებულების, მათ შორის ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის და მსოფლიო ბანკის, 120 ექსპერტის ერთობლივი ნამუშევარია.

# მიმის არია და... გზა ფინალისკენ ხსნილია



**ქართველი სოპრანო ნინა (ნუკი) ცარელაშვილი პრესტიჟული ევროპული მუსიკალური კონკურსის** Tour Music Fest**-ის ფინალისტია.**

ფინალში გასული კონკურსანტების სია კონკურსის ოფიციალურ ვებგვერდზეა გამოქვეყნებული. ნინა ცარელაშვილი ოპერის ჟანრში გამარჯვებულ ფინალისტთა შორის არის. მან ნახევარფინალში მიმის არია შეასრულა ჯაკომო პუჩინის ოპერიდან „ბოჰემა“.

ნახევარფინალისტების მოსმენა ქალაქ რომში გაიმართა, სადაც დაგეგმილია Tour Music Fest-ის ევროპული ფინალიც 24 დეკემბერს. რომში სხვადასხვა ქვეყნებიდან ეროვნულ ფინალში გადასული შემსრულებლები ჩავლენ.

Tour Music Fest-ი ევროპის პრესტიჟული კონკურსია, რომელში მონაწილეობის მიღებაც ევროპული ქვეყნებიდან წარდგენილ მომღერლებს შეუძლიათ. იტალიის მასშტაბით კონკურსანტები 6-თვიანი ქასთინგის შედეგად შეირჩნენ.

ოპერა 7 კატეგორიიდან ერთ-ერთია, რომელშიც გამარჯვების შანსი იტალიაში მცხოვრებ ქართველ მომღერალს აქვს. ნინა ცარელაშვილმა ჟიურის მოწონება პირველივე ლაივაუდიენციის შემდეგ დაიმსახურა და კონკურსის ეტაპები წარმატებით გაირა.

Tour Music Fest-ის 2019 წლის ფინალში გამარჯვების შემთხვევაში თითოეული კატეგორიის ტოპშემსრულებელს შანსი აქვს, 10 000 ევროს დაფინანსებული კონტრაქტი ან საერთაშორისო ტური მოიგოს.

# კლოდ მონეს ნახატი 27.6 მლნ დოლარად გაიყიდა

**ფრანგული იმპრესიონიზმის დამფუძნებლის კლოდ მონეს ნახატი სერიიდან „ჩარინგ-კროსის ხიდი“** Sotheby's**-ის აუქციონზე 27,6 მლნ დოლარად გაიყიდა.**

აუქციონის წარმომადგენლების თქმით, ფერწერული ტილო ანონიმურმა მყიდველმა ტელეფონით შეიძინა. კლოდ მონეს „ჩარინგ-კროსის ხიდის“ სერიაში ფერმწერის დაახლოებით 30-ზე მეტი ნახატია შესული, რომლებიც 1899-1904 წლებშია შესრულებული. უმეტესად ამ სერიის ნახატებზე ლონდონში მდებარე ნისლიანი ჩარინგ კროსის ხიდია გამოსახული.

ექვსი წლის განმავლობაში კლოდ მონე პერიოდულად ჩადიოდა ლონდონში, რათა თავის ტილოზე აესახა ლონდონის ლანდშაფტები, რომლითაც ძალიან იყო მოხიბლული.

ლონდონში მოღვაწეობა უაღრესად ნაყოფიერი იყო მონესთვის, რომელმაც აქ ასზე მეტი ნახატი შექმნა. ნახატები ამავე სერიიდან მთელ მსოფლიოშია მიმოფანტული, სხვადასხვა მუზეუმსა და კერძო კოლექციაში.



# მოცარტის ბავშვობის პორტრეტი აუქციონზე გაიყიდება



**საუბარია ავსტრიელი კომპოზიტორის სიცოცხლეში შექმნილ ოთხიდან ერთ-ერთ ტილოზე. 1770 წელს შექმნილი პორტრეტი, რომელზეც მოცარტი 13 წლის ასაკშია გამოსახული, დღემდე კერძო კოლექციაში ინახებოდა. მის ავტორად იტალიელი მხატვარი ჯამბეტინო ჩინოაროლი მიიჩნევა.**

აუქციონი პარიზში 27 ნოემბერსაა დაგეგმილი. ლოტის საწყისი ღირებულება 800 ათასიდან მილიონ 300 ათას ევრომდე მერყეობს.


## მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.**

**ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.**

**(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.



ყურადღება!
„საქართველოს რესპუბლიკის“ გამოსაწერად მიმართეთ:
„ელვა.ჯი“
577 991651
577 308847
შპს „მაცნე“
599 982777
„პლანეტა ფორტე“
579 799908


**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.9568; ევრო - 3.2566;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.8010;
100 რუბლი - 4.5941; თურქული ლირა - 0.5132;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7411;
1000 სომხური დრამი - 6.1987

**ამინდი 15 ნოემბრისთვის**

აღმოსავლეთი საქართველო:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბარი - | ღამე | +2, | დღე | +15 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -5, | დღე | +15 |

დასავლეთი საქართველო:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბარი - | ღამე | +10, | დღე | +25 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -1, | დღე | +24 |
| თბილისი: | ღამე | +5, | დღე | +10 |


**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge